ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

СССР — СТРАНА СОВЕТОВ

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 146 (18688) შაბათი, 25 ივნისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

გულითადი მადლობა

მინდა საბჭოთა პრესის მეშვეობით გულითადი მადლობა მოვახსენო პარტიულ და სახელმწიფო ორგანიზაციებს, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების შრომითს კოლექტივებს, საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქეს, რომლებმაც მომილოცეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევა. ჩემი აზრით, ამ მისალმებებში მთავარი ის არის, რომ საბჭოთა ადამიანები იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ერთსულოვნად უჭერენ მხარს განვითარებული სოციალიზმის ყოველმხრივი სრულყოფის, ყველა მშრომელის შემოქმედებითი აქტიურობის, ინიციატივისა და პასუხისმგებლობის ამაღლების, მშვიდობისათვის თანამიმდევრული და განუხრელი ბრძოლის კურსს.

გულწრფელად მახარებს მომმე სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა პარტიების, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების ხელმძღვანელთა ამხანაგური მოლოცვა, რომლებიც ჩვენთან ერთად იბრძვიან საყოველთაო მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის.

დიდ მადლობას მოვახსენებ მოლოცვისათვის საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებს. მინდა ვთქვა, ზემოთ ვევით და ერთხელ კიდევ დავადასტურო საბჭოთა კავშირის ურყევი ერთგულება მთელი მსოფლიოს ადამიანთა მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის საქმისადმი.

Ი. ანდროპოვი.

სოფლის მშრომელის აქტიურობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა: „რა თქმა უნდა, პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს ნარმოების მართვაში დემოკრატიული საწყისების შემდგომი განვითარების თემამ“. დემოკრატიული საწყისების განვითარებაში მთავარი როლი კომუნისტმა მშრომელმა უნდა შეასრულოს. მის აქტიურ პოზიციაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

მახარაძის რაიონის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა გერონტი ბაკურაძემ შარშან ივნისში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შემდეგ, კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე პრინციპულად დააყენა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ არ მუშაობს კარგად და ნაყოფიერად ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე, რატომ არ გამოგვყავს სამეურნეოზე საზოგადოებრივი შრომის თავის ამრიდებელნი. გამგეობამ მოიწონა სოფლის გამრჯე კაცის აქტიურობა, საქმისადმი სწორი მიდგომა და მიიღო დადგენილება, რომ მოკლე დროში ყველა შრომისუნარიანი კოლმეურნე ჩაბმულიყო შრომაში. კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ ამ საკითხზე მთელი სერიოზულობით იმსჯელა და მალე მართლაც კოლმეურნეობის ყველა შრომისუნარიანი ნევრი აქტიურად ჩაება შრომაში.

მახარაძელმა კოლმეურნეებმა რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებს თავიანთი გაზეთის საშუალებით მოუწოდეს, რომ ყველა აქტიურად ჩაბმულიყო შრომაში. „არც ერთი ჩამორჩენილი — ჩვენ გვერდით!“ — ამ რუბრიკით მახარაძის რაიგაზეთის „ლენინის დროშის“ ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა ნერილები მახარაძის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის თაოსნობის შესახებ. პარტიის მახარაძის რაიკომმა მოიწონა კოლმეურნეთა თაოსნობა, დაავალა ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციას, გამგეობას მთელი სერიოზულობით მოჰკიდებოდნენ ამ საკითხს.

პატრიოტულმა თაოსნობამ კარგი ნაყოფი გამოიღო — მთელ რაიონში მინიმუმამდე შემცირდა უქნარებისა და შრომის თავის ამრიდებელთა რიცხვი. თავიდათავი კი ბრიგადირ გ. ბაკურაძის აქტიურობა იყო.

სოფლის მშრომელის აქტიურ პოზიციას ბევრი სასიკეთო საქმე მოჰყვება ხოლმე იქ, სადაც კოლმეურნეობის გამგეობები, საბჭოთა მეურნეობების დირექციები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები შეთანხმებულად მოქმედებენ, მხარს უჭერენ მშრომელი კაცის სასარგებლო რწმენას, პრინციპულ, აქტიურ პოზიციას. ასეთ დროს თვით კოლმეურნის ავტორიტეტი სოფლად ერთიორად მატულობს. ეს იმიტომ, რომ სოფლის მცხოვრებლებმა კარგად იციან, ვის სიტყვას აქვს დიდი ფასი, ვის უნდა დაუჯერონ.

აქტიურობას დიდი სარგებლობა რომ მოაქვს, ეს დღეს საკვალ აღარ არის. ვინ იცის, სოფლად რამდენი სიკეთე მოუტანია მშრომელის აქტიურობას; გამოსწორებულა ნაკლი ფერმაში, ბრიგადაში, გადიდებულა მანქანების დიდმნარმოებლური გამოყენების კოეფიციენტი, გაკეთებულა ხიდი, გზა, სკოლა, კლუბი და სხვა. მაგრამ რედაქციაში ბევრი წერილი მოდის, როცა მშრომელი კაცის ალალ სიტყვას ყურადღებას არავინ აქცევს; ზოგჯერ ისეც ხდება, რომ სამართლიანი შენიშვნის გამო ხელმძღვანელები განაწყენდებიან ხოლმე და სიმართლის მთქმელს ზღუდავენ. ასეთი რამ ჩვენი ცხოვრებისათვის მიუღებელია, მშრომელის აქტიურ პოზიციას მხარი ერთხმად უნდა დავუჭიროთ.

საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები ეროობლივად უნდა ზრუნავდნენ სოფლის მშრომელთა აქტიურობის დონის ასამაღლებლად. აქტივისტთა წასახალისებლად, მათი ავტორიტეტის გასადიდებლად. ეს კი მაშინ არის შესაძლებელი, როცა მშრომელი კაცის საჯაროდ ნათქვამი, პრინციპულად დაყენებული საკითხი განხორციელდება. იმისათვის, რომ უფრო ახლოს მივიდნენ სოფლის ხელმძღვანელები მშრომელებთან, გაიგონ მათი ავ-კარგი, საჭიროა ბრიგადებში რეგულარულად მიდიოდნენ კოლმეურნეობის გამგეობები, მეურნეობის დირექციები, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ადგილზე მართავდნენ სხდომებს, სწავლობდნენ საჭირბოროტო საკითხებს და იქვე სახავდნენ სათანადო ღონისძიებებს, რომლებიც დადგენილ დროში უთუოდ უნდა განხორციელდეს. სოფლის ადგილობრივი ორგანოები ასეთი მუშაობით მშრომელებში დიდ ავტორიტეტს მოიხვეჭავენ და მათს სიტყვას დიდი ფასი ექნება.

ნათქვამია — სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობიაო. ეს ყველაზე უფრო სოფლად უნდა ახსოვდეთ, რადგან იქ ყველამ კარგად იცის, ვინ როგორი მშრომელია, რით ცხოვრობს, რით არსებობს, რომ იტყვიან — რით სუნთქავს. მონინავე მშრომელის ოჯახს ყველა საქმე კარგად გამოუდის და დაუყვედრებლად, ნორმალურად ცხოვრობს. მაგრამ განა იშვიათია შემთხვევა, როცა მისივე მეზობელი უსაქმურობს, საზოგადოებრივ საქმიანობაში ნაკლებად მონაწილეობს, საკარმიდამოში კი, რომ იტყვიან, წელებზე ფეხს იდგამს, რომ მეტი შემოსავალი მიიღოს. თუ დავაკვირდებით, ასეთი ოჯახის წევრები (მეუღლე, შვილები) თავს არიდებენ საზოგადოებრივ შრომას და ოჯახის თავის ხარჯზე პარაზიტულად ცხოვრობენ. გადის დრო და ასეთ ოჯახში გაზრდილი ახალგაზრდა ეჩვევა უსაქმურობას და საქმეს გულს ვერსად ვერ უდებს და ხშირად მრუდე გზას ადგება. ყოველივე ამას მეზობელი მშრომელები წლობით გულგრილად შეჰყურებენ, არაფერს ეუბნებიან, ერთმანეთში კი აქილიკებენ, დავინყებიათ ბრძნული ნათქვამი: მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს — პირს უკანაო.

გურჯაანის რაიონის მუკუზნის საბჭოთა მეურნეობის 30 წლის მუშა შოთა შავლიაშვილი თანასოფლელების გულგრილობამ მიიყვანა უსაქმურობამდე. მისი მეზობელი გიორგი სირბილაშვილი კი არც თვითონ მუშაობს და არც მეუღლეს აბუშავებს. ასეთი უსაქმურები მუკუზანში ბოლო დროს საგრძნობლად მომრავლდნენ და ამის გამოც არის, რომ ერთ დროს მონინავე მეურნეობამ პოზიციები დათმო. მონინავე მშრომელებს თავის დროზე რომ გამოეჩინათ აქტიურობა, გულარხეინი თანასოფლელებისათვის დროზე რომ მიეთითებინათ, სახალხოდ შეერცხვინათ, ხოლო მეურნეობის ხელმძღვანელობას, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს პრინციპულ სიმაღლეზე რომ აეყვანათ შრომის ორგანიზაციისა და დისციპლინის საქმე, მუკუზანში ახლა ასეთი მდგომარეობა არ იქნებოდა.

ზოგ-ზოგებს ჰგონიათ, თუ მეზობელს ნესრიგისთვის მოუწოდებ ან საზოგადოებრივი მეურნეობის ხელმძღვანელ პარტიულ თუ სამეურნეო ორგანოში მის საკითხს დააყენებ, ამით ურიგო საქმეს ჩაიდებ. ზოგი კი ფიქრობს, ოღონდ მე ვიყო კარგად და სხვას რას დავეძებო. მათ კარგად უნდა იცოდნენ რუსთაველის ბრძნული ნათქვამი — ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების. თქმაც არის და თქმაც, მთავარია ისე თქვა, რომ მეზობელი კმაყოფილი დარჩეს, შეიგნოს თავისი დანაშაული სოფლის, ხალხის, ქვეყნის ნინაშე. მაშინ მაბეზღარას იარლიყს არავის არავინ არ მიაკერებს. რესპუბლიკაში ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ერთხმად მოიწონეს „სსრ კავშირის კანონი შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დანესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“, რომელიც ამ დღეებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა. კანონის განხორციელებაში თითოეული მშრომელის აქტიურ პოზიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

სოფლის მშრომელის აქტიური პოზიცია მარტო ერთეულების საქმე როდია. მშრომელის აქტიურ პოზიციას მხარი უყოყმანოდ უნდა დაუჭირონ სოფლის ხელმძღვანელებმა, აქტივმა. ყველამ გულთან ახლოს უნდა მიიტანოს აქტივისტმა მშრომელის საღი აზრი და კანონის მთელი შესაბამისობით იზრუნოს მისი განხორციელებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

თავის მორიგ სხდომაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ განიხილა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მთელი რიგი საკითხები.

განიხილეს წინადადებანი სსრ კავშირის აგროსამრეწველო კომპლექსის სისტემაში დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების წესის შესახებ. ამ წინადადებების მიზანია, რომ აგროსამრეწველო კომპლექსის შემადგენლობაში შემავალი ყველა სამინისტროსა და უწყების ხანმიანობა იგეგმებოდეს როგორც ერთი მთლიანი, ამ საქმეში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო გაერთიანებების აქტიური მონაწილეობით.

შესაბამისი საკავშირო და რესპუბლიკური ორგანოები უზრუნველყოფენ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების საკონტროლო ციფრების გაგზავნას სახოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ამასთან მხედველობაში მიიღებენ, რომ დაგეგმვის ყველა დონეზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვის მოცულობისა და სამრეწველო პროდუქციის წარმოების საკონტროლო ციფრებთან ერთად გააცნონ კაპიტალდაბანდებათა ლიმიტების, მინერალური სასუქების, სახოფლო-სამეურნეო ტექნიკის მიწოდების მოცულობისა და სხვა მაჩვენებლების საკონტროლო ციფრები.

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმები იქნება სამინისტროების, უწყებების, მოკავშირე რესპუბლიკების ხუთწლიანი და წლიური გეგმების შემადგენელი ნაწილი და შედგება აგროსამრეწველო გაერთიანებების მიერ წინასწარ განხილული მატერიალურ-ტექნიკური სასუალებებზე მეურნეობათა განაცხადების საფუძველზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ მხარი დაუჭირა ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მომზადებულ წინადადებებს 1984-1990 წლებში ქალაქ დუშანბეს ხაჭალაჭო მეურნეობის შემდგომი განვითარების, აქ საცხოვრებელი სახლების, ბავშვთა დაწესებულებების, სკოლების, საავადმყოფოების, კომუნალური მეურნეობისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის ღონისძიებათა შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მომდინარე წლის ივნისტოდან იმ პირთა წრის ერთგვარი გაფართოება, რომელთაც აქვთ ერთ საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციაში მუშაობის უწყვეტი სტაჟისათვის მოხუცებულობის პენსიის დანიშვნის მიღების უფლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების გათვალისწინებით პოლიტბიურომ მიიღო გადაწყვეტილება შეიქმნას ზოგადსაგანმანათლებელო სკოლისა და პროფესიულ-ტექნიკური სწავლების სისტემის რეფორმის შესახებ წინადადებათა მოსამზადებელი კომისია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე მოისმინეს ამხ. ა. ა. გრომიკოს ინფორმაცია პაკისტანის საგარეო საქმეთა მინისტრთან იაკუბ ხანთან მისი მოლაპარაკების შესახებ, აგრეთვე განიხილეს საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ეძღვნება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს

სურათზე: სრულიად რუსეთის თეატრალურ საზოგადოებაში შეხვედრაზე მსახიობები (მარცხნიდან) ნ. მგალობლიშვილი, თ. ჩხეიძე, ო. მელვინეთუხუცესი, ვ. ვახლიევა, დ. ალექსიძე, ვ. ეტუში.

ა. რუხაძის ფოტო. (საკადრო).

ვლადიმირი ამბობს: „მრავალჟამიერ“

საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები რუსეთის სფს რესპუბლიკაში

მოსკოვისა და ვლადიმირის ოლქების საზღვარზე სოფელ კირჟაჩში გამოკვლილ ოსტატების შეუქმნიათ ძველი რუსული კარმიდამო. ამ ადგილს, რუსეთის შუაგულში ოლქის წარმომადგენლები პურ-მარილით შეხვდნენ საქართველოს დელეგაციას, რომელიც ვლადიმირისაკენ მოემართებოდა. უცბად გადაიღო წვიმამ, მთელი გზის მანძილზე რომ არ შეწყვეტილა, და არყის ხეების სიმწვანე ააელვარა ღრუბლებიდან გამნათებულმა მზის სხივებმა.

თითქოს გულთბილი, გულითადი მეგობრული შეხვედრების წინაშე ავდარმაც კი დაიხია უკან. სოფლის ქოხიდან შორს ეფინებოდა მიდამოს რუსული სადიდებელი და ქართული მრავალჟამიერი...

ეს იყო 23 ივნისს შუადღისას. საათ-ნახევრის შემდეგ კი ელეგანტური „იკარუსები“ შეჰქროდნენ რუსეთის ერთ-ერთი უძველესი ქალაქის ქუჩებში, რომელიც წელს აღნიშნავს თავის 875 წლისთავს.

ქალაქსა და ოლქში სულ ცოტა ათასი ისტორიული ძეგლია, რომელებსაც სახელმწიფო იცავს. მათ შორის ვლადიმირ-სუზდალის სკოლის ხუროთმოძღვრების ძეგლები. ოლქში ყოველწლიურად ჩამოსული დაახლოებით ორი მილიონი ტურისტი აღტაცებაში მოჰყავს ეკლესიების მოოქვრილ გუმბათებს, ანდრია რუბლიოვის ფრესკებს მიძინების ტაძარში, ციხესიმაგრის „ოქროს ჭიშკარს“.

დღეს ვლადიმირი რუსეთის დიდი სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ცენტრია. გამოფენაზე, მაგალითად, ვნახეთ საცხოვრებელი ოთახი, რომელიც მთლიანად მორთულია ოქოს საწარმოებში დამზადებული საოჯახო ნივთებით. ეს არის ავეჯი, მაცივარი, პიანინო, ტელევიზორი, ჭურჭელი, ბროლი და ლინოლეუმიც კი. აქ ოთხასი დიდი სამრეწველო საწარმოა. ქვეყნის ყველა კუთხეში და საზღვარგარეთ არის ცნობილი თბომავლები, ტრაქტორები, პროგრამულ-მართვიანი ჩაოხები, მოტოციკლები, საბუქსირო კარჭაპები, საათები, რომლებსაც აწარმოებენ ოლქში. ერთ სულ მოსახლეზე სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებით ოლქს ტოლი არ ჰყავს რუსეთის სფს რესპუბლიკაში.

ყოველივე ეს საქართველოს დელეგაციას უთხრეს სკკპ ვლადიმირის საოლქო კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე. სტუმრებს გულთბილად მიესალმა მისი პირველი მდივანი მ. ა. პონომარიოვი. მან აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას საუკუნეების სიღრმეში აქვს ფესვი გადგმული, მოიყვანა დღევანდელი დღის საქმიანი კონტაქტების მაგალითები. მაგალითად, ვლადიმირის სინთეზური ფისების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა ქართველ მეცნიერებთან ერთად შეიმუშავეს და დანერგეს ახლად მოკრეფილი ჩაის შენახვის ახალი მეთოდი.

ამხ. პონომარიოვმა საქართველოს დელეგაციის საჩუქრად გადასცა ადგილობრივი ოსტატების მიერ შესრულებული ბროლის ლარნაკი.

რესპუბლიკის დელეგაციის ხელმძღვანელმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. მ. სირაძემ მზურვალე მადლობა გადაიხადა გულითადი მიღებისათვის, გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ რუსეთის სფს რესპუბლიკაში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები გადაიქცევა რუსი და ქართველი ხალხების, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის ერთიანობისა და ძმობის ნეშმარიტ ზეიმად.

სალამოს კი უძველეს ტაძარში განლაგებულ ბროლის მუზეუმში სტუმრების წინაშე გამოვიდა ვლადიმირის კამერული გუნდი ედუარდ მარკინის ხელმძღვანელობით. ინსამბლში მღერიან მხოლოდ მოყვარული პედაგოგები, ინჟინრები, მუშები, სტუდენტები, და მაინც მრავალხმიან სიმღერაში მან პროფესიონალიზმის ნამდვილ მწვერვალს მიაღწია.

მისი გამოსვლები საზღვარგარეთ აღინიშნა კუბისა და ვარშავის საერთაშორისო ფესტივალების ორი უმაღლესი ჯილდოთი. მასპინძლებმა, რომლებმაც სტუმრები მოხიბლეს უძველესი საგალობლებით, პროგრამა დაამთავრეს „მრავალჟამიერით“ — მრავალჟამიერ ჩვენს მეგობრობას მრავალჟამიერ ჩვენს ძმობას.

24 ივნისს ა. ვ. ლუნაჩარსკის სახელობის საოლქო დრამატულ თეატრში საქართველოს ხელოვნების ოსტატთა სადღესასწაულო კონცერტით გაიხსნა ვლადიმირში ჩვენი რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების დღეები.

(საქინფორმის სპეც. კორ.).

საუბარი კრემლში

23 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა კრემლში მიიღო ინდოეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი რ. ვენკატარამანი, რომელიც საბჭოთა კავშირში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება.

საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, მეგობრულ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, შეეხნენ საბჭოთა კავშირ-ინდოეთის ურთიერთობის საკითხებს, აგრეთვე საბჭოთა კავშირისა და ინდოეთისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ორივე მხარე ერთნაირად ესწრაფვის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპის საფუძველზე საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას, ქვეყნად მშვიდობის გაბატკიცებას. ამ მიზნების მიღწევა შეესაბამება 1971 წლის ხელშეკრულების საფუძველზე სსრ კავშირისა და ინდოეთის მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომ განმტკიცებასაც. (საკადრო).

ᲡᲘᲐᲮᲚᲘᲡ ᲫᲘᲔᲑᲐᲨᲘ

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲔᲑᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲓᲦᲔ

თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ კოლექტივი დღეს მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს. აქაურმა მშრომელებმა ხუთი თვის უმნიშვნელოვანესი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით კარგი შედეგები მოიპოვეს, მათ სახელმწიფოს 827 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მიაწოდეს. გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 1.104 ათასი მანეთის პროდუქცია. აქ დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი ნაწარმის გამოშვებას. ელმავალმშენებლებმა აქაც ისახელეს თავი, მათ საპატიო ხუთკუთხედით აღინიშნული 4.430 მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია დაამზადეს. 103,9 პროცენტით შესრულდა ნორმატიული წმინდა პროდუქციის გამოშვების გეგმა.

გაერთიანების კოლექტივის ამ მიღწევებში თავისი წვლილი შეაქვთ საწარმოს რაციონალიზატორებსა და გამომგონებლებს, დღეს ეს მოუსვენარი აზრის ადამიანები ახალი მიღწევებით ხვდებიან თავიანთ პროფესიულ დღესასწაულს. როგორც საწარმოო გაერთიანებაში „ელმავალმშენებლის“ გამოგონებისა და რაციონალიზაციის ბიუროს უფროსმა იზოლდა ღამბაშიძემ გვითხრა, საწარმოში რაციონალიზაცია-გამოგონების საქმეში ჩაბმულია 397 კაცი. საწარმოს ყოველი მეცხრე თანამშრომელი რაციონალიზატორი ინჟინერ-ტექნიკოსია, მათ მეოთხედს კი მუშები შეადგენენ.

მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილი პერიოდიდან დღემდე გაერთიანების სპეციალურ განყოფილებაში რაციონალიზატორებმა და გამომგონებლებმა 847 წინადადება წარადგინეს, რომელთაგან 709 წინადადება უკვე დანერგა, რის შედეგადაც საწარმოს ეკონომიკურმა ეფექტმა 2.874 ათასი მანეთი შეადგინა.

აქაური რაციონალიზატორები, წარმატებით ეძიებენ ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის, ლითონის უფრო რაციონალური ხარჯვის ახალ გზებსა და საშუალებებს, აღსანიშნავია, რომ განვლილ პერიოდში დაზოგილია 479 ტონა შავი ლითონი, 35,8 ათასი კაცსაათი, პირობითად სამუშაოდან გამოთავისუფლდა ოცი კაცი. ნედლეულის, სათბობენერგეტიკული მასალების მომჭირნე ხარჯვისა და შრომატევადობის შემცირებისათვის გაერთიანების თითოეულ საამქროსა და განყოფილებას შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება. შედეგები ყოველი კვარტალის ბოლოს ჯამდება და გამარჯვებულები სათანადოდ ჯილდოვდებიან.

„ყოველი საწარმოო ბრიგადის წევრი — რაციონალიზატორი“ — ამ დევიზით შარშან რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება თითოეული საწარმოს კოლექტივის იმ შემოქმედებითს ბრიგადებს შორის, რომლებშიც გაერთიანებული არიან გამოცდილი და ახალგაზრდა ნიჭიერი რაციონალიზატორები. რესპუბლიკის მასშტაბით გამარჯვებულ კოლექტივებს შორის პირველი-მესამე ადგილი გაინაწილეს გაერთიანების საწარმოო ბრიგადებმა. პირველი ადგილი დაიკავა გაერთიანების იმ ბრიგადამ, რომელსაც საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ჯონი მშვიდობაძე ხელმძღვანელობს. მესამე ადგილი კი კლმეტრი ხინჯავაძის კონსტრუქტორთა ბრიგადამ მოიპოვა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში აგრეთვე ფართოდ არიან ჩაბმული რაციონალიზატორები, ცალკეული გაერთიანების „ელმავალმშენებლის“ გამოგონებისა და რაციონალიზაციის ბიუროს უფროსმა იზოლდა ღამბაშიძემ გვითხრა, საწარმოში რაციონალიზაცია-გამოგონების საქმეში ჩაბმულია 397 კაცი. საწარმოს ყოველი მეცხრე თანამშრომელი რაციონალიზატორი ინჟინერ-ტექნიკოსია, მათ მეოთხედს კი მუშები შეადგენენ.

„ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ“ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲗᲐ ᲛᲤᲚᲝᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲘᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲣᲠᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲜ.

ᲤᲝᲢᲝ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡᲒᲐᲜ.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲚᲐᲑᲝᲠᲘ.

ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲣᲠᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ!

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება ენგურჰესს ქვეყნის მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ელექტროენერგიით უზრუნველყოფაში. ამიტომაც მეტად საშურია აქ გათვალისწინებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად დამთავრება. ამ სამუშაოების ნახევარზე მეტი კი ამჟამად ენგურჰესის თაღოვანი კაშხალის წილად მოდის.

სწორედ ახლა, მშენებლობის დასკვნითს ეტაპზე, როცა განსაკუთრებული მონდომებაა საჭირო, ეს უნიკალური კაშხალი ძალზე ნელი ტემპით შენდება. მშენებლობის სამმართველოს კოლექტივმა (უფროსი ნ. შარტავა) შარშან კაშხალის ტანში გეგმით გათვალისწინებული 300 ათასის ნაცვლად 223 ათასი კუბური მეტრი ბეტონი ჩაასხა, სამშენებლო სამუშაოთა წლიური დავალება მხოლოდ 85 პროცენტით შეასრულა.

ამ ჩავარდნას, ასე თუ ისე, კაცმა შეიძლება ნაწილობრივ გამართლება მოუძებნოს. საქმე ის არის, რომ სამმართველოს კოლექტივი ძალიან ცუდად მარაგდებოდა სპეციალური მარკის ცემენტით (ამის თაობაზე „კომუნისტი“ წერდა თავის შარშანდელ პუბლიკაციაში: „თუ მეტი ელექტროენერგია გვინდა“...). მართალია, წლის ბოლოსთვის საშენი მასალებით მომარაგების საკითხი არსებითად მოგვარდა, მაგრამ ჩამორჩენის დაძლევა ვერ მოხერხდა. მაღლივი კაშხალის სამშენებლობის სამმართველოს მუშაკებმა ამ ბოლო ათი წლის მანძილზე პირველად ვერ შეასრულეს სახელმწიფო დავალებები.

მოსალოდნელი იყო, რომ ისინი მეთერთმეტე ხუთწლედის შუაგული წლის დასაწყისიდანვე ყოველ ღონეს იხმარდნენ ჩამორჩენის დაძლევისა და წლევანდელ დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა. მათ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კაშხალის ტანში საგეგმო 75 ათასის ნაცვლად მხოლოდ 50 ათასი კუბური მეტრი ბეტონი ჩაასხეს, ასე რომ, ჩამორჩენა უფრო შესამჩნევი გახდა.

რა მოხდა, რამ გამოიწვია შეფერხებანი? როგორც ენგურჰესის მშენებლობის და, კერძოდ, მაღლივი კაშხალის მშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელებმა თქვეს, ასეთი ცუდი მდგომარეობა თურმე თითქმის მთლიანად... დიდთოვლიანობის ბრალი ყოფილა. ჩვენ ერთს დავძენთ: ამინდის ჭირვეულობამ, უჩვეულო დიდთოვლიანობამ მართლაც სერიოზული ფაილი დაასი მშენებელთა აქმიანობას: ჩაკეტა მისასვლელი გზები, დააზიანა საბაგირო გზის ანძები და თვით ბაგირები, რის შედეგადაც კაშხალზე შეუძლებელი გახდა ინერტული საშენი მასალის ატანა (ამის გამო იანვარში ათიოდე დღის განმავლობაში მშენებლობა პრაქტიკულად პარალიზებული იყო), მაგრამ ენგურჰესელები მკაცრ ზამთარს უფრო მომზადებული და ორგანიზებული რომ შეხვედროდნენ (ამინდის პროგნოზი ხომ წინასწარ იყო ცნობილი?) მდგომარეობა ასეთი საგანგაშო არ იქნებოდა. მითუმეტეს, რომ მაღლივი კაშხალის მშენებლობის სამმართველოს მრომელებს მუშაობის გამოცდილება და უნარი აქვთ. ისინი ამჟამად არც მშენებლობის ცემენტის ნაკლებობას განიცდიან. ალბათ სწორედ ამის გათვალისწინებით გვითხრა აღნიშნული სამმართველოს მთავარმა ინჟინერმა რ. ყაფლაშვილმა, მომდინარე წლის პირველ ნახევარში მოლიანად აღმოვფხვრით პირველი კვარტალის ჩამორჩენას. მაგრამ დაპირება ჯერ-ჯერობით დაპირებად რჩება და საქმეს კი სასიკეთო პირი არ უჩანს. წლის პირველი ნახევარი უკვე იწურება.

საგანგაშო მდგომარეობაა თვით კაშხალის მოპირკეთების მხრივაც. ეს სამუშაოები შარშან მთლიანად უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ რაკი მშენებლები ძალიან ცუდად მარაგდებოდნენ კუროსების მოსაპირკეთებელი გრანიტის ფილებით (შარშან, მაგალითად, 6300-ის ნაცვლ

სახალხო მსაჯული

დღეს თბილისში მუშაობას იწყებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯულთა პირველი რესპუბლიკური შეკრება

რესპუბლიკის საერთო აღმავლობის ვითარებაში, ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის ფონზე ამ ფორუმს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელს კარლ მარქსს ეკუთვნის ბრძნული ფრთიანი ფრაზა: მოსამართლეს მარტო ერთი უფროსი ჰყავს, ეს არის კანონი. მარქსის ამ მოსაზრებამ თავისი ცოცხალი განხორციელება პოვა საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში, რომელშიც აღნიშნულია: „სსრ კავშირში ყველა სასამართლო იქმნება მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობის საწყისებზე... მოსამართლეები და სახალხო მსაჯულები დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან“. ეს შესანიშნავი, ღრმაგაზრდოვანი და ბეჭრის დამტკიცებული დებულებანია ის მტკიცე საფუძველი საფუძველი, რომელზეც დაყრდნობილია საბჭოთა მართლმსაჯულება და საერთოდ ჩვენი სოციალისტური მორალიცა და სამართალიც.

სახალხო მსაჯული უაღრესად მნიშვნელოვანი ფიგურაა საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემაში, რომელიც კიდევ ერთხელ დასტურებს ჩვენი სასამართლოს ხალხურობას და დემოკრატიულ საწყისებს. სახალხო მსაჯული არა მარტო დანაშაულის ფაქტის საკითხს წყვეტს, არამედ სასჯელის ზომასაც. კანონის მიხედვით, სახალხო მსაჯულები სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, ხუთასამდე სახალხო მსაჯული ჰყავს. სახალხო მსაჯულთა ამ კოლექტივში წარმოდგენილი არიან ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანები — წარმოების ნოვატორები, მეცნიერების და მხატვრული სიტყვის ოსტატები, ხელოვნების მუშაკები და ჟურნალისტები, ინჟინრები და ტექნიკოსები. აქ თქვენ ნახავთ სოციალისტური შრომის გმირს კონსტანტინე ილურიძეს, მოწინავე ელმავალმშენებელს გურამ ჩაფუნელს, წარჩინებულ გვირაბმშენებელს ამირან ზარქუას, ქართული ხელოვნების გამოჩენილ ისტორიკოსს ვახტანგ ბერიძეს, ცნობილ არქეოლოგს ანდრია აფაქიძეს, აკადემიკოსებს— ნიკოლოზ ლანდიას და ვლადიმერ ჰავჰანიძეს, პროფესორებს— რისმაგ გორდეზიანსა და ოთარ ბაქანიძეს, მხატვრებს —ილგუჯა ამაშუკელსა და კოკი მაზარაძეს, რესპუბლიკის სახალხო არტისტებს — იაკობ ტრიპოლსკისა და თენგიზ მუშკუდიანს, მწერლებს — გიორგი ხატრაშვილსა და მორის ფოცხიშვილს, ექიმ ვლადიმერ ბაძაღუას და მრავალი სხვა დარგის ენერგიულ მუშაკებს, რომელთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შრომითი საქმიანობის დიდმა გამოცდილებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მართლმსაჯულების ზუსტად დაცვას და განხორციელებას.

სახალხო მსაჯულთა კოლექტივს ჰყავს თავისი საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გურამ ფალიტაშვილი. იდეურ-პოლიტიკური და სამართლებრივი ცოდნის, სასამართლო პროცესებზე მსაჯულთა აქტიურობის გაზრდის მიზნით შექმნილია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მსაჯულთა უნივერსიტეტი (ხელმძღვანელი — დ. ცინცაძე), რომელიც სისტემატურად აწყობს მეცადინეობას წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით.

ზემოხსენებულმა მსაჯულთა საბჭომ თავიდანვე მიზნად დაისახა უზრუნველყოფ მართლმსაჯულებაში საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობა, სასამართლო კულტურის ამაღლება, სასამართლო პროცესების შედეგების მშრომელთა ფართო მასებისათვის გაცნობა, უმაღლესი სასამართლოს მიერ განხორციელებული მართლმსაჯულების პროპაგანდა. მსაჯულთა საბჭო თავისი ძალებით საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში, ადგილებზე სისტემატურად ამოწმებს უმაღლესი სასამართლოს მიერ გამოტანილ კერძო განჩინებათა გამო რეაგირების მდგომარეობას და თავის წინადადებებს აყენებს უმაღლესი სასამართლოს წინაშე.

როგორც ცნობილია, ბოლო წლების მანძილზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა, მთელი ჩვენი ხალხი დიდ და ეფექტიან ბრძოლას ეწევა, რათა რესპუბლიკაში აღიკვეთოს სოციალისტური საკუთრების დატაცების, მეკრძალობის, ბაუპატიურების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები... ამ ბრძოლაში საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ უაღრესად აქტიური როლი შეასრულა. მკითხველს უნდა შევახსენოთ გახმაურებული პროცესები, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი აუღრეობა დაიმსახურეს. ასეთები იყო ფინანსთა სამინისტროს, წვენების ქარხნის, უფრო ადრე — სამედიცინო ინსტიტუტის, თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“, გარდაბნის დამზადების კანტორის, თბილისის ფარმაცევტული ტექნიკუმის მუშაკების დასხვა პროცესები. განსაკუთრებით მძიმე ბოროტმოქმედებათა საქმეების გარჩევაში აქტიურად მონაწილეობდნენ და პროცესებზე გამოდიოდნენ საზოგადოებრივი ბრალმდებლები, რომლებიც საზოგადოებრივ აზრს ჰქმნიდნენ ჩადენილი დანაშაულის შეფასებისას, კანონიერი სასჯელის განსაზღვრის მიზნით. კერძოდ, აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის ბრწყინვალე სიტყვები, რომლებიც წარმოსთქვეს ცალკეულ პროცესებზე საზოგადოებრივმა ბრალმდებლებმა აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა, მწერალმა სერგი ჭილაიამ და სხვებმა.

წლევანდელი ივნისი ჩვენი საშობლოს ისტორიაში აღინიშნა უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით, რომლებიც უდიდეს გავლენას მოახდენენ არა მარტო საბჭოთა ქვეყნის, არამედ მთელი მსოფლიოს ვითარებაზე. აქ იგულისხმება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გადაწყვეტილებანი. მსოფლიოს ხალხებმა კიდევ ერთხელ დაინახეს, რომ საბჭოთა კავშირი შეუნელებლად და დაუცხრომლად იბრძვის იმისათვის, რათა ჩაშალოს ახალი ომის გამჩაღებელთა ყველა ცდა, რათა ჩვენი პლანეტის ზეცა მუდამ მოწმენდილი იყოს.

როგორც უმაღლესი სასამართლოს, ისე რაიონული თუ საქალაქო სასამართლოს სახალხო მსაჯულის ყოველი ნაბიჯი უნდა მიმართული იყოს იქით, რომ ადამიანები განაწყოს და დარაზმოს შრომითი აქტიურობისათვის; თითოეულ ადამიანს უნდა ვუნერგავდეთ კეთილსინდისიერი, დიდნაყოფიერი შრომის ორგანულ მოთხოვნილებას, ვუნერგავდეთ იმის მკაფიო შეგნებას, რომ საჭიროა მუშაობდეს საერთო კეთილდღეობისათვის. უდიდესი, ნამდვილად ფასდაუდებელია შრომის აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ხომ სწორედ შრომის პროცესში იჩენს ადამიანი თავის საუკეთესო უნარს, ავითარებს თავის შემოქმედებითს ძალებს. შრომისადმი პატიოსანი, შეგნებული დამოკიდებულება სოციალისტური ცხოვრების წესის პირველსაფუძველია.

სახალხო მსაჯულებმა კონსტიტუციით მინიჭებული უფლებანი უნდა გამოიყენონ იმისათვის, რომ მთელი სიმძაფრით შეებრძოლონ ყველა ნეგატიურ მოვლენას, კერძოდ სპეკულაციას, რომელიც მცირე ზიანს როდი აყენებს ჩვენს ცხოვრებას. აქ მთავარია მოვშალოთ ის წყარო, ის ნიადაგი, რომელიც წარმოშობს და ზრდის, ასაზრდოებს და აჩენს სპეკულანტს. რა წყაროა ეს, რა ნიადაგია? ეს შესანიშნავად განმარტა ივნისის პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა. მან აღნიშნა:

„არ კმარა სრულყოფ შრომისათვის ფულადი ანაზღაურების სისტემა, კიდევ საჭიროა აწარმოო სამყოფი რაოდენობის საქონელი, რომელზეც მოსახლეობის მოთხოვნაა. ამასთან, ხარისხის ეტალონები ყოველად უშეღავათო, უმაღლესი უნდა იყოს. თორემ დღეს ზოგჯერ მართლაც გულსატკენ მდგომარეობას ვაწყდებით: საწყისი მასალა კარგია, პროდუქცია კი ისეთია, რომ ხალხი ამჯობინებს მეტი მისცეს სპეკულანტს, ოღონდ კარგი გემოვნებით გაკეთებული საქონელი შეიძინოს. საქმე უნდა გამოვასწოროთ, გამოვასწოროთ დაუყოვნებლივ“.

აქ, ჭეშმარიტად, მიგნებულია, თუ რა ზრდის და რა უწყობს ხელს სპეკულანტს; მან რომ ვეღარ შეძლოს ფრთების ასე ლაღად გაშლა, საჭიროა და აუცილებელია, რომ ოსტატმა კარგი ფეხსაცმელი შეკეროს, კაბაც ისეთი უმსგავსო არ უნდა იყოს, რომ ქალიშვილი მის დანახვაზე სპეკულანტთან გაიქცეს.

ეს საკითხი, მაშასადამე, უნდა გადაწყდეს იმ დაზგასთან, სადაც მშრომელი ადამიანი დგას და აქ მარტო სასამართლო და ციხე ვერაფერს გახდება.

ივნისის პლენუმმა ჩვენს წინაშე დასახა საბჭოთა ქვეყნის წინსვლის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ახალი აღმავლობის ისტორიული მასშტაბის ამოცანები. ამ ამოცანათა გადაწყვეტისათვის აუცილებელი პირობაა უზრუნველვყოთ, რომ ჩვენი ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ღრმად ესმოდეს ლენინური პარტიის პოლიტიკა, შეეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება, მკაფიოდ ჰქონდეს წარმოდგენილი და საქმიანად ასრულებდეს თავის საზოგადოებრივ მოვალეობას; იმ ადამიანთა შორის, ვინც წინ უნდა გაუძღვეს მასებს და მისცეს მაგალითი, ჩვენ მუდამ უნდა ვხედავდეთ სახალხო მსაჯულს, რომელიც მოწოდებულია მუდამ ესარჩლებოდეს სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს.

გ. ინაშვილი.

„ივერიის“ პრესტიჟისთვის

თავისი არსებობის ოც წელზე ცოტა მეტი ხნის მანძილზე, იმ დღიდან, რაც 52 კაცისგან შემდგარმა კოლექტივმა პრიმიტიული ტექნოლოგიით 35 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა, რთული იყო საწარმოს გზა — ყოფილა გამარჯვება, ქება, მაგრამ ამასთან ახსოვთ წარუმატებლობაც და მარცხიც. ახსოვთ კრიტიკა მაღალი ტრიბუნიდან — თუ არა გეგმების კორექტირება, 1981 წლის საწარმოო გეგმას ჩაშლის აშკარა საფრთხე ემუქრებოდაო.

ამ ბოლო ორი წლის მანძილზე სურათი სასიკეთოდ შეიცვალა. გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები სრულდება, მაგრამ შეიძლება თუ არა ეს მიღწეულ მიზნად ჩაითვალოს და ითქვას, რომ თბილისის პარფიუმერია-კოსმეტიკის ფაბრიკის „ივერიის“ ნაწარმი სრულად აკმაყოფილებს მომხმარებლის მოთხოვნილებას, შეესაბამება ამ დარგის (თუნდაც საკავშირო) სტანდარტებს?

1983 წლის 6 მაისს ფაბრიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე მოწინავე მუშა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი დ. სიდამონიძე იმ პატარა კოლექტივის პირველ ნაბიჯებს გაიხსენებს, რომელიც წელიწადში იმდენ პროდუქციას უშვებდა, რამდენსაც ახლა ერთ დღეში აწარმოებს; იტყვის, რომ თუმცაღა „ივერიამ“ თავდაპირველად მოსკოვის საპარფიუმერო ფაბრიკის მიერ შექმნილი სუნამოება „საიუბილეო“ და „ახალი განთიადი“ გამოუშვა, კოლექტივის მიზანი (თუ ოცნება) სულ სხვა იყო — ქართული ეროვნული სუნამოების, ნელსაცხებლების, ფერ-უმარილების დამზადების ტრადიციის აღორძინება და ამის საფუძველზე თანამედროვე მოთხოვნილების შესაბამისი პროდუქციის გამოშვება.

დრო გადიოდა, ფაბრიკის სიმძლავრე მატულობდა, პროდუქციის მოცულობა იზრდებოდა, მაგრამ პირველადელი მიზანი — კონსტრუქცია კი არადა არ დგებოდა კონკრეტულად დღის წესრიგში. წლებისწინანდელი ტექნიკური საშუალებები ჭარბი პროდუქციის გამოშვებისათვის ბრძოლას არ შეიძლება ხარისხი არ შეეწიროს. მაგრამ ყოველივე ეს იმას რადი ნიშნავს, რომ საქმე ასე მარტივად იყოს და ყველაფერი საწარმოს ტექნიკური განახლების გაჭიანურების ბრალია. თავისთავად იმ ფაქტს, რომ მარტო შარშან ფაბრიკამ უხარისხო პროდუქციის გამოშვებისა და ასორტიმენტის შეუსრულებლობისათვის შესაბამისად 114 და 328 ათასი მანეთი ჯარიმა დადაიხადა, ბევრი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი აქვს. ამის თაობაზე ჯერ კიდევ ამ წლის თებერვალში პრინციპულად იმსჯელა საქართველოს კომპარტიის თბილისის პირველი მაისის რაიკომის ბიურომ და დასახა კიდეც გზები მდგომარეობის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის. მაგრამ ამით არ დასრულებულა ყოველივე. პირიქით, როგორც შემდგომ მოვლენათა მსვლელობამ დაამტკიცა, ეს მხოლოდ დასაწყისი გამოდგა იმ დიდი მასშტაბის მიზნებისა, ფაბრიკის კოლექტივის წინაშე რომ დაისახა. რატომ მხოლოდ მდგომარეობის გამოსწორებისათვის ბრძოლა? ხომ შეიძლება მისი მასშტაბის გაფართოება?

და ადამიანებმა გაიხსენეს ფაბრიკის კოლექტივის თავდაპირველი მიზნები და, თუ გნებავთ, ოცნებებიც — აეღორძინებინათ და განევითარებინათ ქართული კოსმეტიკის ძირძველი ტრადიცია და დაემზადებინათ საუკეთესო ხარისხის პროდუქცია. მით უმეტეს, რომ ამის ნაღდ საშუალებას რესპუბლიკის ბუნებრივი პირობები, მდიდარი ფლორა და ფაუნა იძლევა. და არა მარტო გაიხსენეს, ხელიც გამოიღეს; ამასთან მიზნების მასშტაბურობა თავისთავად გულისხმობს როგორც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, ისე მისი რაოდენობის გაზრდას. საკმარისია მხოლოდ ერთი ციფრის მოშველიება — საწარმოს წლიური სიმძლავრე 67 მილიონი მანეთიდან 100 მილიონ მანეთამდე უნდა გაიზარდოს. ამისათვის კი წარმოება უნდა გაფართოვდეს, მოხდეს მისი ტექნიკური განახლება, მაქსიმალურად შემცირდეს ხელის შრომა, გაუმჯობესდეს, დაიხვეწოს ტექნოლოგიური პროცესი, და სხვ. ამიტომ ფაბრიკა „ივერიის“ ტექნიკური განახლებისა და სოციალური განვითარების ღონისძიებათა პროგრამა, რომელიც შემუშავებულია საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან და სსრ კავშირის კვების სამინისტროსთან შეთანხმებით და რომლის განხორციელება ფაქტობრივად უკვე დაწყებულია, დარგის შემდგომი აღორძინებისათვის საჭირო კომპლექსურ გეგმას მოიცავს.

აი, კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს 1983-1987 წლებში: ფაბრიკასთან უნდა შეიქმნას ლაბორატორია, სადაც რესპუბლიკის ნედლეულის რესურსების გამოყენებით დაამუშავებენ ახალ სახეობათა საპარფიუმერიო-კოსმეტიკურ ნაწარმს. ამჟამად ლაბორატორიულად სწავლობენ მინერალური წყლის „ლუგელას“ თვისებებს, რათა მის ბაზაზე გამოშვებულ იქნეს კბილის სამკურნალო-პროფილაქტიკური პასტა, სწავლობენ ავრეთვე ვაზელინის შემცველი პრეპარატის „ასკანკოლის“ წარმოებაში გამოყენების შესაძლებლობას.

ერთი დარგი ცალკე, დამოუკიდებლად, სხვა სფეროებისაგან მოწყვეტით არ ვითარდება. სხვადასხვა დარგებს ერთმანეთთან შეხების წერტილები აქვს, ამიტომ, შემთხვევითი არ არის, რომ ზემოხსენებულ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე, რომელზეც ამ დარგის შემდგომი განვითარების პერსპექტივებს განიხილავდნენ, სხვა იმ მონათესავე დარგების მესვეურნიც მოვიდნენ, რომლებმაც თავისებურად უნდა უზრუნველყონ ამ მნიშვნელოვანი საქმის წარმატებით განვითარება. მაგალითად, თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანამ ფაბრიკას უნდა დაუმზადოს კბილის პასტის ტუბები, ქსნის ამყამად მშენებარე მინის ქარხნის კოლექტივი „ივერიისათვის“ წელიწადში 50-70 მილიონ ფლაკონს გამოუშვებს.

ღონისძიებათა პროგრამაში გათვალისწინებულია ავრეთვე, რომ გამოინახოს როგორც საპარფიუმერიო, ისე კოსმეტიკური პროდუქციისათვის საჭირო კერამიკული და პოლიმერული (პხტგრული) ტარის გამოშვების შემდგომი გაფართოების საშუალება, თბილისის სამხატვრო აკადემია და ტექნიკური ესთეტიკის ინსტიტუტი უნდა დაეხმარონ ფაბრიკას ნაწარმის გარეგნული გაფორმების დამუშავებაში ეროვნული ელემენტების გათვალისწინებით. აქ აღარაფერს ვამბობთ საწარმოს მთლიან რეკონსტრუქციასა და ტექნიკურ განახლებაზე, ავტომატიზაციისა და მექანიზაციის დანერგვაზე, ტექნოლოგიური პროცესების რადიკალურად გაუმჯობესებაზე. გაფართოებისათვის საჭირო ორი მილიონი მანეთი ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულებაზე, საბინაო მშენებლობაზე და სხვ.

— კონკრეტულად მაინც რამ განაპირობა საქართველოში პარფიუმერიისა და კოსმეტიკის შემდგომ განვითარებაზე ყურადღების შეჩერება, მის მომავალზე აგრერიგად ზრუნვა? — ბუნებრივად იბადება ამგვარი კითხვა, რომელსაც საკავშირო გაერთიანება „საკპარფიუმმრეწვის“ უფროსი ე. ზოლოტარიოვი უპასუხებს: უკვე კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც პარფიუმერიაკოსმეტიკის სამამულო წარმოებას საფუძველი ჩაეყარა. დარგი განვითარდა, წინ წავიდა, საერთაშორისო სტანდარტებს ეტოლება, საქართველოში კი ვერ ვიტყვით, რომ ამ მიმართულებით საქმე მაინცდამაინც კარგად იყო. ჩვენ კი გვსურს, რომ ფაბრიკა „ივერიის“ პროდუქციას ეროვნული სახე ჰქონდეს, სწორედ ამ ნიშნით გამოირჩეოდეს ივ. გვსურს, რომ ჩვენს მშრომელ ქალებს სწორედ კოსმეტიკის სამამულო ნაწარმი ამშვენიერებდეს, იცავდეს ქარისგან, მზისაგან... ამასთან რესპუბლიკა საკურორტო ზონაა, ამ მხრივ სეზონთან დაკავშირებული პრობლემებიც დროულად უნდა დაწყდეს.

ამ პრობლემების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანი ადგილი უნდა დაიკავოს [illegible] მეცნიერებათა აკადემიამ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე განსაკუთრებით ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ უდავოდ ღირს ახლა მთავარი ყურადღება მივაპყროთ შეჯიბრების ისეთ მიზნებს, როგორიც არის პროდუქციის ხარისხის ამაღლება, საწარმოო სიმძლავრეების, ნედლეულის, ენერგიისა და სამუშაო დროის გამოყენების გაუმჯობესება და ამასთან ყველაფრის გონივრული დაზოგვა. ეს იქნება საუკეთესო პასუხი სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაზე, რომელიც ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების გაფართოებას გულისხმობს, და თუ გნებავთ, — ღირსეული შეხვედრაც გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილესათვის.

* * *

...და კიდევ ერთი, ალბათ, უმთავრესიც, რამაც დარგის მომავლზე რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ყურადღება შეაჩერა: ფაბრიკას „ივერია“ ეწოდება. ამ სახელწოდების საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქცია შეუწყნარებელია უხარისხო იყოს.

ადამიანს იმისათვის, რომ იმოქმედოს, რწმენა სჭირდება, რწმენა იმისა, რომ მისი მოღვაწეობა საჭირო და მნიშვნელოვანია. ფაბრიკის კოლექტივის ამ რწმენასაც უმტკიცესი ბალავარი აპირობებს — ეს „ივერიის“ პრესტიჟისთვის ბრძოლაა და არ არსებობს ჯაფა უფრო საპატიო და საამაყო.

გ. ხარებაშვილი.

24 ივნისი

ეკონომიკა

ფაქტები
მოვლენები

საკლესი
იუწყება

დავიცვათ სიცოცხლის უფლება

გამოხმაურება

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის შედეგები კვლავ მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღებას იპყრობს. ამ დიდმნიშვნელოვანი ფორუმების მუშაობაზე საზღვარგარეთის გამოხმაურებებში ხაზგასმულია, რომ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაში, პლენუმისა და სესიის დოკუმენტებში გამოიხატა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გულწრფელი ზრუნვა მშვიდობისათვის, მისწრაფება ყოველი ღონე იხმაროს, რათა ბოლო მოუღოს უგუნურ გამალებულ შეიარაღებას, იხსნას კაცობრიობა ბირთვული ომის საშინელებისაგან, დაიცვას ადამიანის უპირველესი უფლება— სიცოცხლის უფლება.

საზღვარგარეთის პრესა, სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწენი, რომლებიც განმარტავენ საბჭოთა მთავრობის მიმართვას ამერიკის შეერთებული შტატების, დიდ ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობებისადმი და მის წინადადებას, რომ ყველა ბირთვულმა სახელმწიფომ გაყინოს თავისი ბირთვული შეიარაღება რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით, აღნიშნავენ, რომ ახალი საბჭოთა ინიციატივა კონკრეტულად გაუხატავს პლენუმსა და სესიაზე დადასტურებულ სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარულ კურსს. აღნიშნავენ, რომ საბჭოთა მთავრობის მიერ შემოთავაზებული აქცია ეფექტიანი პირველი ნაბიჯი იქნება ბირთვული შეიარაღების შემცირების, და, საბოლოო ანგარიშით, მისი სრული ლიკვიდაციის და ამრიგად კი საერთოდ ბირთვული კატასტროფის აღკვეთის გზაზე.

საბჭოთა მთავრობა მოელის, აღნიშნავს ბულგარული **„რაბოტნიჩესკო დელო“**, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობები მთელი ყურადღებითა და სერიოზულობით მოეკიდებიან სსრ კავშირის წინადადებას, იხელმძღვანელებენ იმ მაღალი პასუხისმგებლობით, რომელიც ბირთვულ სახელმწიფოებს აკისრიათ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნებისათვის.

ბირთვული შეიარაღების გაყინვა შეიძლება გახდეს ეფექტიანი ნაბიჯი შემდგომი მოლაპარაკებისათვის უფრო სასიკეთო ვითარების შექმნის გზაზე, წერს ჩეხოსლოვაკიის **„რუდე პრავო“**. საბჭოთა კავშირმა ცხადყო თავისი კეთილი ნება შეთანხმების მიღწევის გზაზე. ახლა ჯერი შეერთებულ შტატებსა და სხვა ბირთვულ სახელმწიფოებზეა.

იტალიის **ანსას** საინფორმაციო სააგენტო ბეჭდავს მასალებს, რომლებიც ეძღვნება ა. ა. გრომიკოს პასუხს საკდესის კორესპონდენტის კითხვებზე საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრის მოწყობის შესაძლებლობის თაობაზე, ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ ამ შეხვედრის მოწყობის საკითხის განხილვა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა ამერიკის პოლიტიკაში გაჩნდება იმის რეალური ნიშნები, რომ მზად არიან ეწეოდნენ საქმეს სერიოზულად, კონსტრუქციულად. საბჭოთა მინისტრმა, აღნიშნავს სააგენტო, თქვა, რომ მოსკოვი პრინციპულად თანახმაა უმაღლესი დონის შეხვედრაზე, მაგრამ ხაზი გაუსვა, რომ ამისათვის საჭიროა ორი ქვეყნის ურთიერთობის მდგომარეობისა და მთელი საერთაშორისო ვითარების განმსაზღვრელ მნიშვნელოვან საკითხებზე ურთიერთგაგების გარკვეული დონე. ამასთან მან განაცხადა, რომ სსრ კავშირთან ურთიერთობის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა არავითარ კონსტრუქციულ მიზანს არ ისახავს, რასაც სულ არ ფარავენ ამერიკელი ხელმძღვანელები.

ა. ა. გრომიკოს მიაჩნია, რომ შეერთებული შტატების მიზეზით მოეკვეა ჩიხში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, — ხაზს უსვამს ამერიკული **„ვაშინგტონ პოსტი“**. გაზეთი დაწვრილებით აქვეყნებს საკდესის კორესპონდენტის კითხვებზე მის პასუხს და წერს, რომ, „როგორც საბჭოთა მინისტრმა განაცხადა, მსოფლიოს ორი წამყვანი სახელმწიფოს უმაღლეს ხელმძღვანელთა შეხვედრის მოწყობისათვის საჭიროა შესაბამისი წანამძღვრები“. „ვაშინგტონ პოსტი“ აგრეთვე ყურადღებას მიაპყრობს პოლიტიკური მიმომხილველების მიერ გამოთქმულ აზრს, რომ ვაშინგტონს სურს საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის შეხვედრა მოაწყოს წმინდა სარეკლამო მიზნით, რათა „ისარგებლოს“ მისით 1984 წლის საარჩევნო კამპანიის პერიოდში.

მე, ისევე როგორც ბევრი ამერიკელი, გულისყურით და დიდი ინტერესით ვადევნებდი თვალს მოსკოვში გამართულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას, განაცხადა ცნობილმა ამერიკელმა საზოგადო მოღვაწემ, ამერიკა-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა **ა. ტომსონმა.** „გაბედული და დროული“ უწოდა მან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებას და წინადადებას, რომ ბირთვული იარაღის მქონე ყველა სახელმწიფომ გაყინოს მთელი თავისი ბირთვული შეიარაღება რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით. ასეთი გაყინვა ეფექტიანი ნაბიჯი იქნება შეიარაღების შემცირებისა და ამგვარად საერთოდ ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთის გზაზე. საბჭოთა კავშირის ახალი წინადადება, რომელიც კიდევ ერთხელ მოწმობს სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული კურსის თანამიმდევრულობას, შეესაბამება აგრეთვე ამერიკის საზოგადოებრიობის გაწყობილებას, რომელიც მხარს უჭერს ამ საბჭოთა ინიციატივას. ტომსონმა წუხილი გამოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის არაკონსტრუქციული პოზიციის გამო.

„ივერიის“ ... ბრალი

... ბრალი

... ბრალი

#

აბიტურიენტი—83

ვინ გაიმარჯვებს კონკურსში?

რამდენიმე დღის შემდეგ რესპუბლიკის უნივერსიტეტები და ინსტიტუტები კარს გაუღებენ აბიტურიენტებს. დაიწყება დოკუმენტების მიღება, გასაუბრება, კონსულტაციები.

დიდი ქალაქებისა და ჭაბუკების სწრაფვა ცოდნისადმი, გაანათლების განგრძობისადმი. მათთვის რესპუბლიკაში მოქმედებს ორი უნივერსიტეტი და ჩვიდმეტი ინსტიტუტი. წელს ზაფხულში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების დღის, საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებებზე ჩაირიცხება 15 700 კაცი.

უმაღლეს სასწავლებლებში მიხადები გამოცდები ათეთასობით ქალიშვილისა და ჭაბუკისათვის მარტო ცოდნის გამოცდა კი არა, არამედ მათი სიმწიფის, შემოქმედებითი აზროვნების, მაღალი მოკალაქეობრივი პოზიციებიდან ქვეყნის, რესპუბლიკის ცხოვრების შეფასების უნარის გამოცდაცაა. ახლა რესპუბლიკაში განსაკუთრებული განწყობილებაა. იგი ემზადება ზეიმით აღნიშნოს გეოგრაფიკის ტრაქტატის 200 წლისთავი. საქართველოს მშრომელებზე, ისე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანზე, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა, რომელმაც ახალი იმპულსი მისცა ქვეყნის შემდგომ ეკონომიკურ და სოციალურ აყვავებას. პარტიის იდეოლოგიურ, მახვილგონიერ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალურ საკითხებზე პლენუმის გადაწყვეტილებანი, ის საპროგრამო დებულებები და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის ხიტყვა, განსაზღვრავენ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების გეგმაზომიერი და ყოველმხრივი სრულყოფის პერსპექტივას. პლენუმმა ახალი მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა უმაღლეს სკოლას უმაღლეს სასწავლებლებში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადების შემდგომი სრულყოფის, მეცნიერული გამოკვლევების განვითარების საქმეში. ყოველივე ეს უმაღლესი სკოლების მუშაკებს აკისრებს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდნონ საგამოცდო კამპანიის მოწყობას.

როგორ მიმდინარეობს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში მზადება აბიტურიენტთა მიხადებად? რა ელის ახალი უმაღლეს სასწავლებლში შემსვლელთ? რა კეთდება იმისათვის, რომ საკონკურსო გამოცდები ჩატარდეს ორგანიზებულად, მაღალ დონეზე?

ამ კითხვებს საქინფორმის კორესპონდენტის ი. გოლდმანის თხოვნით უპასუხებენ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების რექტორები.

ვ. ოკუჯავა,

თბილისის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

წელს უნივერსიტეტის დღის, საღამოსა და დაუსწრებელი განყოფილებების პირველ კურსზე ჩარიცხავენ 2585 კაცს, მათ შეასწავლიან 39 სპეციალობას 18 ფაკულტეტზე.

პირველად დაუსწრებელ განყოფილებაზე გამოცხადებულია მიღება სპეციალობაზე „კავშირგაბმულობის ეკონომიკა და ორგანიზაცია“. მნიშვნელოვანი სიახლე: უნივერსიტეტში პირველი შესასვლელი გამოცდა წერითია. გამონაკლისს შეადგენენ ფიზიკის ფაკულტეტისა და დასავლეთევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სპეციალობები, აგრეთვე „ფილოსოფია“ და „პოლიტეკონომია“. სხვათაშორის, ბოლო ორ სპეციალობაზე პირველი საკონკურსო გამოცდა წერითია „საზოგადოებათმცოდნეობაში“. ეს საგანი პირველად შემოიღეს უმაღლესი სასწავლებლის შესასვლელ გამოცდებზე.

და კიდევ: „ფილოსოფიისა“ და „პოლიტეკონომიის“ სპეციალობების დღის განყოფილების საკონკურსო გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებსაც აქვთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის რეკომენდაციები. ესენი უნდა იყვნენ ქალაშვილები და ჭაბუკები, რომლებსაც აქვთ ფრონტისა და ცხოვრების გამოცდილება, ვინც თავი გამოიჩინა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ძირითადად საკმაოდ წელი ან წევრობის კანდიდატები, კომკავშირული აქტივისტები, რომლებმაც საზოგადოებრივ მეცნიერებათა შესწავლის ინტერესი გამოავლინეს.

მომდინარე წლიდან „მრეწველობის დაგეგმვის“, „ზრომის ეკონომიკის“, „კავშირგაბმულობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის“, „მანქანათმშენებლობის მრეწველობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის“ სპეციალობების დაუსწრებელ განყოფილებებზე, აგრეთვე „შენებლობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის“ სპეციალობის საღამოსა და დაუსწრებელ განყოფილებაზე შესვლისას ერსებითი უპირატესობა ენიჭებიან რესპუბლიკის მთელი რიგი საშრეველო საწარმოების მუშები. ამ სპეციალობებზე უკონკურსოდ ჩაირიცხებიან მუშები, რომლებსაც გამოუბვანიან: რუსთავის მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები, თბილისის გაერთიანება „ელმავალმშენებელი“ და კიროვის სახელობის ჩარსაშენებელი გაერთიანება, გაერთიანება „საქქვანახშირი“, ქუთაისის საავტომობილო და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანები, საწარმოო გაერთიანება „ჭითურმანგანუმი“ და გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანება.

გამოცდების პერიოდში საციალური ფორმები გაიკვრება ცნობათა ბიუროსთან და სტენდზე უნივერსიტეტის შესასვლელში. ამ ადგილიდან შეიძლება სრული ინფორმაციის მიღება ითეთეულ სპეციალობაზე ადგილების რაოდენობისა და შემოტანილი განცხადებების რიცხვის შესახებ, ყოველდღიური მონაცემები გამოცდების მიმდინარეობაზე.

ზ. ანჩაბაძე,

ოფზაზეთის გორკის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ამ ზაფხულს უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივი აღნიშნავს თავის პატარა იუბილეს: უნივერსიტეტი მეხუთეჯერ მიიღებს ახალ შევსებას. იგი დაემთხვა საბჭოეთალტრო აღრიცხვისა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზის დარგის სპეციალისტთა პირველ გამოშვებას. აფხაზეთის უნივერსიტეტის დიპლომის მქონე დაახლოებით სამი ეაცი უახლოეს დროში დაიწყებს მუშაობას საწარმოებსა და დაწესებულებებში. უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად მცირე ასაკისა, აფხაზეთის უნივერსიტეტმა წამყვანი ადგილი დაიკავა რესპუბლიკის ავტონომიური რესპუბლიკის მრავალმხრივი სახალხო მეურნეობისათვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაში.

უმაღლესი სასწავლებლის აფხაზურ, ქართულ და რუსულ სექტორებზე — სწავლების სამივე ფორმაზე — ჩაირიცხება 770 კაცი. ფიზიკა-მათემატიკის, ბიოლოგია-გეოგრაფიის, ისტორია-სამართლის, ეკონომიკის, ფილოლოგიისა და პედაგოგიკის ფაკულტეტები ამზადებენ სტუდენტებს 17 სპეციალობით.

უნივერსიტეტის კოლექტივი ერგილოვან ყურადღებას უთმობს პროფორიენტაციულ მუშაობას, ვინაიდან იგი უმაღლესი სასწავლებლის ახალი შევსების მიღების კამპანიის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად მიიჩნია. ამიტომ წელს ჩვენ პირველად მოვაწყვეთ ღია კარის დღე არა მარტო უნივერსიტეტში, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე, არამედ აფხაზეთის ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში და ახლომდებარე რაიონებში.

თ. ლოლაძე,

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

ჩვენ წელს მივიღებთ 3325 კაცს დღის განყოფილებაზე, 1100 კაცს — საღამოს და 450 კაცს — დაუსწრებელ განყოფილებებზე. აქვე მინდა გავაფრთხილო აბიტურიენტები, რომ ამ ადგილების ნაწილი კონკურსში მონაწილეობას არ მიიღებს, ვინაიდან მათ დაიკავებენ მოსამზადებელი განყოფილების კურსდამთავრებულები, პირები, რომლებიც სარგებლობენ უკონკურსო მიღების უპირატესობით.

მიღება იწარმოებს 67 სპეციალობაზე. მათ შორის **ახალია „ელექტრონული სამედიცინო აპარატურა“.** ეს მეტად საჭირო სპეციალობაა ჩვენი რესპუბლიკისათვის, სადაც სამეცნიერო და სამეურნეო-პროფილაქტიკური დაწესებულებები აღჭურვილია უახლესი სამედიცინო მოწყობილობით.

კიდევ ერთი სიახლე, რომელიც განსაკუთრებით დაინტერესებს სამხრეთ ოსეთისა და რესპუბლიკის სხვა რაიონების მცხოვრებთ. ცხინვალში გიახსნა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საღამოს სწავლების ფაკულტეტი. რუსული სექტორზე აქ მიიღებენ სტუდენტებს სპეციალობებზე: ტექნოლოგია, მანქანათმშენებლობა, ლითონსაჭრელი ჩარხები და ინტრუმენტები, ქართულ სექტორზე შემსვლელებს შეუძლიათ დაეუფლონ სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო საწარმოების ელექტრომოწყობილობას. აბიტურიენტები ჩააბარებენ გამოცდებს ცხინვალში. შარშან ჩვენ იგივე განვახორციელეთ ბათუმსა და სოხუმში. გამოირკვა, რომ იმ პერიოდთან შედარებით, როცა გამოცდები მიმდინარეობდა თბილისში, აბიტურიენტთა რიცხვი ერთისამად გაიზარდა. მაშასადამე, ასეთი ფორმა მეტად აძლევს ხელს მოსახლეობას.

ინსტიტუტი მზად არის პასუხსაგები კამპანიისათვის. განსაზღვრულია საგნობრივ კომისიათა შემადგენლობები, გამოცდების განმავლობაში უზრუნველყოფილი იქნება ფართო საჯაროობა. სპეციალური სტენდები ინფორმაციას მიაწვდიან აბიტურიენტსა და „გულშემატკივრებს“ ყოველი გამოცდის შედეგებზე, კონკურსის ყოველდღიურ მდგომარეობაზე.

ნ. ვალიშვილი,

ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

აგვისტოს დამლევს ინსტიტუტში ჩაირიცხება ათასი კაცი, ამათგან 700 — დღის განყოფილებაზე. მსუბუქი მრეწველობის სპეციალობაზე მისაღები გამოცდები მოეწყობა თბილისში.

გამოცდები ყველა საგანში წერითი იქნება. ეს შესაძლებლობას მოგვცემს დასაბუთებულად ვუპასუხოთ აბიტურიენტთა ყველა პრეტენზიას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გავცეთ ნამუშევრის პირი. აბიტურიენტთა წერით ნამუშევრებს ამოწმებენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან მოწვეული მასწავლებლები.

მისაღები გამოცდების შედეგების მიხედვით მოეწყობა საკონკურსო შერჩევა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების მეშვეობით. ამასთან გამოითვლება ეგრეთ წოდებული პრიორიტეტის კოეფიციენტი, რომელიც აადვილებს საკონკურსო შედეგების შეჯამებას.

დიდი ყურადღება ეთმობა მისაღები გამოცდების მოწყობის საჯაროობას, ტელევიზია შესაძლებლობას მისცემს ყველა მსურველს თვალ-ყური ადევნოს, თუ რა ხდება აუდიტორიებში.

ო. ნათიშვილი,

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

ბოლო წლებში კონკურსი ინსტიტუტში სტაბილურად დიდია — საშუალოდ ექვს კაცზე მეტი ერთ ადგილზე. ეს გამოიწვია საინტერესო და მნიშვნელოვანი ახალი სპეციალობების გახსნამ.

იხვეწება ჩვენი მუშაობა ახალგაზრდობის პროფორიენტაციისათვის. რესპუბლიკის რეგიონებში შექმნილია სასოფლო-სამეურნეო განათლების ხელშემწყობი საბჭოები. უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლები მიდიან რაიონებში. კითხულობენ ლექციებს, ესაუბრებიან კურსდამთავრებულებს, ეხმარებიან მათ სპეციალობის არჩევაში. ახალგაზრდობის პროფორიენტაციისათვის ზრუნავენ სოფლის მეურნეობის ადგილობრივი სპეციალისტებიც.

სტაციონარის 18 სპეციალობაზე, ისე როგორც შარშან, ჩაირიცხება 575 კაცი. მიწათმოწყობის, სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის (ქართული სექტორი) და სოფლის მეურნეობის მექანიზაციის (რუსული სექტორი) სპეციალობებზე შემსვლელთათვის მოეწყობა ექსპერიმენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ აბიტურიენტი, რომლის ატესტატში საშუალო ქულა სულ ცოტა 4,5-ია და პირველ ორ გამოცდაზე 9 ქულას დააგროვებს, თავისუფლდება შემდეგი გამოცდების ჩაბარებისაგან და ჩაირიცხება უმაღლეს სასწავლებელში. გამოცდების შემდგომი ჩაბარებისაგან თავისუფლდებიან და ინსტიტუტში ჩაირიცხებიან აგრეთვე ის აბიტურიენტები, რომლებმაც საშუალო სკოლა მედალზე, ან პროფტექსასწავლებელი წარჩინებულის დიპლომით დაამთავრეს და პირველ შესასვლელ გამოცდაზე მიიღეს შეფასება „კარგი“, ხოლო მეორეზე — „ფრიადი“.

გამოცდების მოწყობის სრულ სიჯაროობას უზრუნველყოფს უმაღლესი სასწავლებლის ტელევიზია. მონიტორები, რომლებიც უჩვენებენ თუ რა ხდება აუდიტორიებში, დადგმულია არა მარტო რექტორისა და უმაღლესი სასწავლებლის მიმღები კომისიების წევრების კაბინეტებში, არამედ ინსტიტუტის შესასვლელთანაც „გულშემატკივრებისათვის“.

ა. ვირსალაძე,

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

წლეულს ჩვენთან მიღების წესები არ შეცვლილა. ისევე, როგორც შარშან, შეღავათები ისარგებლებენ აბიტურიენტები, რომლებსაც აქვთ საშუალო სამედიცინო ან ფარმაცევტული განათლება და სპეციალობით სულ ცოტა სამი წელი იმუშავეს, აგრეთვე უმცროსი სამედიცინო პერსონალი სულ ცოტა ორი წლის მუშაობის სტაჟით. მათ უმაღლეს სასწავლებელში ჩაერიცხვეთ იმ შემთხვევაშიც კი, თუ შესასვლელ გამოცდებზე დაკლდებათ თითო ქულა საკონკურსო მაჩვენებლებთან შედარებით.

დადებითი შეფასებისას უკონკურსოდ ჩაირიცხებიან დემობილიზებული მეომრები — საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულები, თუ მათ ექნებიათ შესაბამისი დახასიათებები ჯარის ნაწილის სარდლობისაგან.

ისევე როგორც გასულ წლებში, საკონკურსო ადგილების საერთო რიცხვის 20 პროცენტს შეავსებენ ისინი, ვინც წარმატებით დაამთავრებს სწავლას ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ განყოფილებაზე. კონკურსგარეშე მიღებისათვის ადგილები გამოყოფილია რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონების, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე ქალაქ ორჯონიკიძისა და საინგილოს (აზერბაიჯანის სსრ) ქართული სკოლების კურსდამთავრებულებისათვის, კრასნოდარის მხარის ქართული სოფლის პლასტუნკის მცხოვრებლების, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ერაოვნულ უმცირესობათა ახალგაზრდებისათვის.

ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ უკანასკნელ წლებში ზემდგომ ინსტანციებში არ შესულა საჩივრები თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტთა ცოდნის არაობიექტური შეფასების გამო. ალბათ, ეს იმ დიდი მუშაობის შედეგია, რომელსაც უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივი ახორციელებს საკონკურსო გამოცდების ორგანიზებულად ჩატარებისათვის, ვეცდებით წლეგანდელ ზაფხულში განვამტკიცოთ წარმატება, ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ გამოცდებზე სუფევდეს ობიექტურობა და კეთილმოსურნეობა.

ნ. ვასაძე,

თბილისის ა. ხ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმზე თავის სიტყვაში ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა ხაზი გაუსვა, რომ განვითარებული სოციალიზმის სრულყოფა წარმოუდგენელია ადამიანთა სულიერი განვითარებისათვის დიდი მუშაობის გარეშე. ამისათვის კი საჭიროა, კერძოდ, გავაუმჯობესოთ პედაგოგიური კადრების შერჩევა და მომზადება თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ეს ახალ დიდმნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებსაც. მომავალი პედაგოგების შერჩევა იწყება საკონკურსო გამოცდებიდან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები ეტალონური უნდა იყოს. ამისათვის ვცდილობთ შევქმნათ კეთილმოსურნეობის, ობიექტურობის, სრული საჯაროობის ვითარება, შევანელოთ აბიტურიენტების ნერვული დაძაბულობა. წელს ვეცდებით არამარტო გამოვიყენეთ, არამედ გავაფართოოთ კიდეც ამ მიმართულებით გასული წლების გამოცდილება.

წელს ზაფხულში, მრავალი წლის შესვენების შემდეგ, დღისა და დაუსწრებელ განყოფილებებზე მისაღები გამოცდები ერთდროულად გაიმართება, ეს საკონკურსო მოვლენაა, თუმცა დამატებითს სიძნელეებს ქმნის მისაღები კამპანიის ორგანიზაციაში, მაგრამ ეს სიძნელეები არ გვაშინებს.

ნაცვლად სპეციალობისა „დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა“ **პირველად იქნება მიღება ორპროფილიან სპეციალობაზე „დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და რუსული ენა“.**

და კიდევ: ასევე **პირველად იქნება მიღება ორპროფილიან სპეციალობაზე „ფიზიკა-ასტრონომია“** ნაცვლად **სპეციალობისა „ფიზიკა“, როგორც ეს იყო გასულ წლებში.**

ინსტიტუტში გამომცდელების ნახევარი საშუალო სკოლების პედაგოგები არიან. ეს შემთხვევითი როდია. საგამოცდო ბილეთები შედგენილია მკაცრად საშუალო სკოლის მოთხოვნათა შესაბამისად. უფრო მეტიც — უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდები მოეწყობა ზუსტად ისევე, როგორც საშუალო სკოლაში ეწყობა.

აბიტურიენტებს ბევრად დაეხმარება საზოგადოებრივი მისაღები კომისია, რომელშიც შედიან საუკეთესო სტუდენტები — უფროსკურსელები. ისინი აწყობენ გასაუბრებას, გვეხმარებიან დოკუმენტების მომზადებაში, მორიგეობენ ცნობათა ბიუროში, აუდიტორიებში გამოცდების დროს.

გ. ჯავახიშვილი,

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის **სტუდენტი** გახდება 160 კაცი. გამოცდები მოეწყობა სკოლის პროგრამით. მაგრამ მინდა გაგაფრთხილოთ: უცხო ენების ინსტიტუტში ჩაბარებისას პროგრამულ მოთხოვნათა ზედაპირული ცოდნა არ კმარა. საჭიროა უცხო ენების ნამდვილი, ღრმა ცოდნა.

გამოყოფილია ადგილები მაღალი მთის რაიონების მცხოვრებლებისათვის. იქ ძალზე სჭირდებათ უცხო ენების მასწავლებლები. აბიტურიენტებს შორის, რომლებიც მოაგროვებენ თანაბარი რაოდენობის ქულებს და ექნებათ სხვა თანაბარი მაჩვენებლები, უპირატესობა მიეცემათ იმათ, ვისაც უკვე აქვს მუშაობის სტაჟი, განსაკუთრებით მატერიალური წარმოების სფეროში.

ახალი სასწავლო წლიდან სტუდენტებს ბევრი სიახლე ელოდა. **ყველა ფაკულტეტზე გაიხსნება მთარგმნელობითი განყოფილებები შემდეგი სპეციალიზაციით: საბჭოეთიერო-ტექნიკური ლიტერატურის მთარგმნელი და მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელი.** მომავალში დაგეგმილია ამ განყოფილებების ბაზაზე შეიქმნას მთარგმნელობითი ფაკულტეტი. საღამოს ფაკულტეტზე იქმნება მთარგმნელობითი ჯგუფები. ქართული სექტორის სტუდენტები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარებენ რესპუბლიკის მაღალი მთისა და დაშორებული რაიონების ლიმიტებით, მეორე სპეციალობად შეისწავლიან რუსულ ენასა და ლიტერატურას.

ენებს, რომლებსაც ტრადიციულად სწავლობდნენ სტუდენტები მეორე სპეციალობით (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, პოლონური, ჩეხური, რუმინული, უნგრული) დაემატება: იაპონური, შვედური, არაბული, ახალი ბერძნული, სლოვაკური, ბულგარული.

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს უმაღლეს სასწავლებელს დიდი პოტენციური შესაძლებლობანი აქვს როგორც კადრების, ისე არსებული სამეცნიერო-მეთოდიკური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თვალსაზრისით, აქ იქმნება ამერიკანისტიკის ცენტრი, მან კოორდინაცია უნდა გაუწიოს მიღებულ ინფორმაციას ამერიკის შეერთებული შტატების შესახებ და შეიმუშაოს შესაბამისი რეკომენდაციები საერთაშორისო კონტაქტების გაფორმაციის საქმეში. მომავალში ვაპირებთ გავხსნათ გერმანისტიკისა და სკანდინავისტიკის ცენტრები.

ა. მელია,

საქართველოს ფიზიკულტურის ინსტიტუტის რექტორი, დოცენტი

სტუდენტთა მიღების მომდინარე წლის გეგმა საქართველოს სპორტკომიტეტის იმ კომპლექსური გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი რესპუბლიკის უზრუნველყოფას ფიზიკულტურული მოქალაქეობის სპეციალისტთა „ადგილებით. ქალაქებსა და რაიონებში ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარების ამოცანები, რომლებიც ამ გეგმითაა განსაზღვრული, საფუძვლად დაედო მისაღები კომისიის მუშაობას ფიზიკულტურის ინსტიტუტში სასწავლებლად რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონის მცხოვრებთა მიზიდვისათვის. ინსტიტუტის სპეციალისტები ადგილებზე გაეცნენ ფიზიკულტურისა და სპორტის განვითარების პერსპექტივებს, შეხვდნენ რაიონების აქტივისტებს, წაიკითხეს მოხსენებები და ლექციები, მოაწყვეს კონსულტაციები.

წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სასწავლებლად სოფლის მცხოვრებთა მიღებას. უმაღლეს სკოლაში სპეციალისტების მომზადების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცნობილი დადგენილების შესაბამისად, ქვეყნის ფიზიკულტურის ინსტიტუტები გადავიდნენ ახალ სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე. მათში მკაფიოდ არის გამოკვეთილი სამი მიმართულება, რომელთა მიხედვითაც წარმობს სპეციალისტთა მომზადება: მწვრთნელი — მასწავლებელი სპორტის სახეობაში, ფიზიკური კულტურის მასწავლებელი, ყველა ტიპის სასწავლებლისათვის და მასობრივი ფიზიკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობისა და ტურიზმის ორგანიზატორ-პედაგოგი. ისევე როგორც სწავლების დღის განყოფილებაზე, დაუსწრებელ განყოფილებაზეც წელს ზაფხულში მივიღებთ აბიტურიენტებს ამ სამი სპეციალობით.

აბიტურიენტებთან ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლთა შეხვედრები უკვე დღეს გვაძლევს საფუძველს გამოვთქვათ ვარაუდი, რომ უმაღლეს სასწავლებელში ყოფილებებზე გაიმართება ერთდროულად — 1 აგვისტოდან. და კიდევ ერთი სიახლე: პირველი გამოცდა ყველა სპეციალობაში წერითი იქნება. ეს კეთდება იმისათვის, რომ უფრო ობიექტურად შეფასდეს აბიტურიენტის ცოდნა, გამოირიცხოს შემთხვევითობანი უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის დროს.

დიდი მოსამზადებელი მუშაობა გავწიეთ სტუდენტთა ახალი შევსების მიღებისათვის. პროფესორ-მასწავლებლები იყვნენ მაღალი მთის ხულოს, შუახევის, ქედის რაიონებში, სადაც შეხვდნენ საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებსა და მათ მშობლებს, ესაუბრნენ მათ პროფორიენტაციის საკითხებზე.

ინსტიტუტი მზად არის აბიტურიენტთა მისაღებად. გამოცდები მოეწყობა მთელი ჯგუფის თანდასწრებით. ყოველ შემსვლელს საშუალება ექნება მოუსმინოს თავისი ამხანაგების პასუხებს. შეფასებას დაუყოვნებლივ აცხადებენ და აფორმებენ. შპარგალკის გამოყენების პირველი ცდისთანავე აბიტურიენტი მოიხსნება გამოცდიდან.

ო. ბაკურაძე,

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

მიმდინარე წელს ჩვენს ინსტიტუტს უსრულდება ნახევარი საუკუნე. ამ ხნის მანძილზე აქ მომზადდა დაახლოებით 25 ათასი პედაგოგი. ვინაიდან უმაღლესი სასწავლებლების ამოცანაა კადრების მომზადება ძირითადად დასავლეთ საქართველოს რაიონებისათვის, იქ ყოველ წელს გზავნიან პედაგოგებსა და უფროსი კურსების საუკეთესო სტუდენტებს. ისინი ხდებიან სოფლის ახალგაზრდობას, სკოლების კურსდამთავრებულებს, უამბობენ მათ პედაგოგის ძნელ, მაგრამ საპატიო პროფესიაზე.

მისაღები გამოცდებისათვის მზადება დავიწყეთ იმით, რომ გავაანალიზეთ ფონი წინა წლების შედეგები, გავითვალისწინეთ შეცდომები და ნაკლოვანებანი, გავაზოგადეთ შეძენილი გამოცდილება. მთელ ამ მუშაობას წარმართავთ უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო საბჭოს მიერ ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დამტკიცებული გეგმის შესაბამისად.

ინსტიტუტში ღია კარის დღეებში მოვლენ მომავალი სტუდენტები და მათი მშობლები. თითეული მათგანი მიიღებს „აბიტურიენტის სამახსოვროს“, პასუხს ყველა შეკითხვაზე, რომლებიც დაკავშირებულია მომავალ გამოცდებთან.

ნ. ქოროშა,

თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი

უკვე მესამე წელია, ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უმაღლესი სასწავლებლის წამყვანი სპეციალობის დღის განყოფილებაზე: „დაწყებითი სამხედრო სწავლება და ფიზიკური აღზრდა“. ამ სპეციალობისადმი ინტერესი ყოველწლიურად იზრდება და არის შესაძლებლობა ავირჩიოთ ყველაზე ნიჭიერი აბიტურიენტები. ამ სპეციალობაზე მიიღებიან, ძირითადად, ახალგაზრდები, რომლებიც მსახურობდნენ საბჭოთა არმიის რიგებში, ვცდილობდ, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები გახდნენ რესპუბლიკის სკოლებში დაწყებითი სამხედრო მომზადების სრულყოფილი, მაღალკვალიფიციური მასწავლებლები.

სკოლების სხვა დისციპლინები — ისტორიის, რუსული ფილოლოგიის, მათემატიკის, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ინსტიტუტი ტრადიციულად ამზადებს ძირითადად კახეთის, თიანეთის, დუშეთის რაიონების სკოლებისათვის. ბუნებრივია, სწორედ ამ რაიონების ახალგაზრდებში მიმდინარეობს მუშაობა პროფესიული ორიენტაციისათვის — სწორედ ამ რაიონებში მცხოვრები ქალაშვილებისა და ჭაბუკების მოზიდვა გვსურს უწინარეს ყოვლისა უმაღლეს სასწავლებელში.

ინსტიტუტის კოლექტივი საგულდაგულოდ მოემზადა მიმღები კამპანიისათვის. მიმღები და საგნობრივი საგამოცდო კომისიები დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ივლისის შუა რიცხვებიდან, საგამოცდო პროგრამაში შემავალ ყველა საგანში, უმაღლეს სასწავლებელში მოეწყობა კონსულტაციები. ხოლო ყველა კითხვაზე, რომლებიც აინტერესებთ აბიტურიენტებს, პასუხის მიღება შეიძლება უმაღლესი სასწავლებლის ცნობათა ბიუროში.

ზ. ნიჟარაძე,

თბილისის სამხატვრო აკადემიის რექტორი, საქართველოს სახალხო მხატვარი, სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

8 ივლისს თბილისის სამხატვრო აკადემია კარს გაუღებს აბიტურიენტებს, რომელთაგან 120 ქალაშვილი და ჭაბუკი სტუდენტი გახდება.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებელში მისაღები გამოცდების მეთოდიკა ერთობ სპეციფიკურია, იგი საკმარისად არის დახვეწილი და წელს რაიმე საგრძნობი ცვლილება არ განუცდია. მაგრამ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოგვრიცხა ყოველგვარი შეცდომები და ხარვეზები, ჩვენ გადავწყვიტეთ აგვემაღლებინა გასაუბრების როლი. ეს იქნება ნამდვილად ნიჭიერი ახალგაზრდების მკაცრი შერჩევა. გასაუბრების დროს, რომელმაც მომავალი მხატვრის მომზადების ზოგადი დონე უნდა გამოავლინოს, ახალგაზრდამ ნახატი უნდა შეასრულოს. აბიტურიენტის მონაცემების ინდივიდუალური განხილვის შემდეგ მისაღები კომისია გადაწყვეტს, მიზანშეწონილია თუ არა პრეტენდენტისათვის კონკურსში ჩაბმა.

მიღება იწარმოებს 19 სპეციალობით სამ ფაკულტეტზე — ფერწერის, არქიტექტურის და ხელოვნებათმცოდნეობის, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტზე. საინტერესოა, რომ ამ ბოლო ფაკულტეტზე მანძილზე ჩვენში ფარულად — ბინარცელებული რეპეტიტორობა ამბიტურიენტთა შემოქმედებითი აზროვნების ნიველირებას იწვევდა. ჩვენ შევეცადეთ გამოვავლინოთ არა მარტო ნიჭი, არამედ მხატვრული წარმოსახვის უნარიც, ინდივიდუალობა.

ხელოვანის აღზრდა გულისხმობს არა მარტო პროფესიული ოსტატობის სრულყოფას, არამედ ისეთი ადამიანის სულიერ ჩამოყალიბებასაც, რომელსაც უნარი შესწევს თავისი შემოქმედებით აქტიურად მონაწილეობდეს თავისი ხალხის, ადამშენებლობითს ცხოვრებაში, მშობლიური კულტურის განვითარებაში.

ამ მიზნით განზრახული გვაქვს განვახორციელოთ მთელი რიგი ღონისძიებანი. ეს, კერძოდ, გახლავთ პედაგოგთა და ადმზრდელთა პირადი პასუხისმგებლობის ამაღლება თითოეული სტუდენტის შემოქმედებითი ზრდისათვის, სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენების მოწყობა, ცნობილი პედაგოგების მოწვევა და ქვეყნის სხვა შემოქმედებითი უმაღლესი სასწავლებლების ნიჭიერი ახალგაზრდობის ნამუშევრების ექსპონირება.

ვ. კიკნაძე,

საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი

ჩვენ შეძენილი გვაქვს გარკვეული გამოცდილება, შევიმუშავეთ მისაღები გამოცდების მეთოდიკა იმ ამოცანების გათვალისწინებით, რომელსაც დღეს აყენებს კომუნისტური პარტია საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა წინაშე. ჩვენი ძირითადი ამოცანაა შევარჩიოთ, უველაზე ღირსეული ქალაშვილები და ჭაბუკები, რაც შეიძლება ობიექტურად განვსაზღვროთ თითოეული აბიტურიენტის ნიჭიერების დონე.

წელს ინსტიტუტი აცხადებს მიღებას დრამის თეატრისა და კინოს, პანტომიმის, მუსიკალური კომედიის მსახიობის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზატორ-მეთოდისტის სპეციალობებზე.

ჩვენ განვაგრძობთ რესპუბლიკის სხვადასხვა თეატრისათვის მსახიობთა მიზნობრივი ჯგუფის შერჩევის კარგ ტრადიციას. ასეთმა ჯგუფებმა უკვე მიიღეს საგზურები თბილისის მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში, ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამის თეატრში. წელს ინსტიტუტი მოამ

ᲔᲠᲗᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲣᲜᲥᲢᲣᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

ᲞᲣᲜᲥᲢᲣᲐᲪᲘᲐ სასვენი ნიშნების ხმარების წესების ერთობლიობაა. ნაწერი, რომელშიც დაცულია პუნქტუაციის წესები, ადვილად იკითხება. სასვენი ნიშნები წერილობით გამოთქმულ აზრს ანაწევრებს და ამით ეხმარება წამკითხველს, ისე აღიქვას ნაწერის შინაარსი, როგორც დამწერს ესმის. წიგნიერი კაცი დიდი გულისხმიერებით ეპყრობა ნაწერში პუნქტუაციის წესების დაცვას.

პუნქტუაციას მოსწავლეები საშუალო სკოლაში ეუფლებიან ქართული ენის გრამატიკის სწავლებასთან ერთად. იმის გამო, რომ ბევრ სკოლაში ქართული ენის გრამატიკის სწავლება არ დგას სასურველ დონეზე, არც სასვენი ნიშნების ხმარების წესები ისწავლება ნორმალურად და არც საჭირო სპეციალური ვარჯიშობა ტარდება სათანადო ჩვევის გამოსამუშავებლად.

ამის შედეგია ის, რომ აბიტურიენტთა წერითს ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომათა 60 პროცენტზე მეტი სასვენი ნიშნების ხმარების წესთა დარღვევაზე მოდის.

არის სხვა მიზეზებიც. ერთი და იმავე შინაარსისა თუ აგებულების წინადადებაში, სადაც გარკვეულია, რა სასვენი ნიშანი უნდა დაიწეროს, ნაბიჯ ლიტერატურამ (ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში) ზოგჯერ დაუდევრობით, ზოგჯერაც უცოდინარობით სასვენი ნიშანი ნებისმიერად იხმარება. ეს ერთი. მეორე ისიც გაბლავთ, რომ ზოგი სასვენი ნიშნის ხმარების წესი არ არის დადგენილი, რათა ნაწერში მათი დაცვა ყველას ერთნაირად მოეთხოვოს.

აქ ბევრი საკითხი იყრის თავს, რომელთა გადაწყვეტა აუცილებელია სკოლაში სასვენი ნიშნების სწავლების სათანადო დონეზე დასაყენებლად, ხელნაწერსა თუ სტამბურად ნაბეჭდ ტექსტებში — წიგნიერების, სალიტერატურო ქართული ენის სიწმინდისა და ნორმების დასაცავად.

ამჟამად უნდა შევეხოთ მხოლოდ **დანართთან დაკავშირებულ სასვენი ნიშნის ხმარების საკითხს,** ვინაიდან დანართიან წინადადებაში ძალიან ხშირად ირღვევა სასვენი ნიშნების ხმარების წესები. ზოგჯერ ასეც ხდება: ერთი და იგივე პირი დანართთან ერთსა და იმავე შრომაშიც კი სხვადასხვაგვარად წერს სასვენ ნიშნს და ყველა ვარიანტი მცდარია. ამგვარი ვითარება შენიშნულია როგორც მხატვრული, ისე მეცნიერული ხასიათის ლიტერატურაში, როგორც პერიოდულ პრესაში (თითქმის ყველა ბეჭდვითს ორგანოში), ისე ცალკე გამოცემულ წიგნებში, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოებსა და მეთოდიკურ ლიტერატურაში ეს საკითხი გარკვეულია.

X-XI, 1960, გვ. 72-115. გამოკვლევის შედეგები კი სამი წლით ადრე გამოქვეყნდა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისების კრებულში, 1957).

დანართი ის განკერძოებული წევრი წინადადებისა, რომელიც სრულიად იმავე შინაარსისაა, რომელ წევრსაც (კავშირით ან უკავშიროდ) უკავშირდება წინადადებაში მნიშვნელობის დასაზუსტებლად, ოღონდ ეს სიტყვა სხვაგვარი ბგერითი შედგენილობისაა; კავშირიანი: დედ-მამა, **ანუ მშობლები,** ყველას უყვარს; დედ-მამა, **ესე იგი** მშობლები, ყველას უყვარს; უკავშირო: დედ-მამა, **მშობლები,** ყველას უყვარს; დედ-მამა — **მშობლები** — ყველას უყვარს; დედ-მამა **(მშობლები)** ყველას უყვარს. ამ მაგალითებში დანართია მშობლები. დანართს რომ ადგილი შევუცვალოთ, იგი წინადადებს წევრის ადგილს დაიჭერს და მის ფუნქციას შეასრულებს: მშობლები, ანუ **დედ-მამა,** ყველას უყვარს, ამ შემთხვევაში დანართია **დედ-მამა.**

როგორც ვხედავთ, დანართი (კავშრიანი თუ უკავშირო) იმ წინადადების წევრისაგან, რომელაც დაერთვის შინაარსს დასაზუსტებლად, ორივე მხრით გამოიყოფა ან **ტირეთი,** ან **მძიმით,** ან **ფრჩხილებით.** ამ სასვენი ნიშნებიდან რომელი რა შემთხვევაში უნდა დაიწეროს, არჩევანი სტილისტიკური თვალსაზრისით ხდება.

მეტყველების ნაწილთა მიხედვით დანართი ჩვეულებრივ შეიძლება იყოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი (საზოგადოდ სახელი — უთანდებულო, თანდებულიანი, უნაწილაკო, ნაწილაკიანი), ზმნა, ზმნიზედა... დანართი შეიძლება ახლდეს სხვადასხვა წევრს წინადადებისას (ქვემდებარეს, შემასმენელს, დამატებას, განსაზღვრებას, გარემოებას) მარტივ გაუვრცობელსა და გავრცობილ წინადადებაში, შერწყმულ წინადადებაში, განკერძოებულ წევრიან წინადადებაში...

დანართი ყოველთვის არის იქ, სადაც იდენტური ცნების აღმნიშვნელი ან შინაარსით მონათესავე ცნებათა აღმნიშვნელი ორი (ან მეტი) სიტყვაა მიჯრით ან არა ერთი ფრიად გავრცელებული

ᲞᲣᲜᲥᲢᲣᲐᲪᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

არათუ ძველად, არც ისე შორეულ წარსულში, დანართი, როგორც სინტაქსური კატეგორია, არ იყო სათანადოდ შესწავლილი, არც მისი კავშირები იყო გამოკვეთილი და მასთან სასვენი ნიშნების ხმარება, ბუნებრივია, ერთიან წესს არ ექვემდებარებოდა.

პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა სასვენი ნიშნების ხმარების წესების კვალიფიკაციისას ენათმეცნიერების მონაცემებს ეყრდობა. ამიტომ ეს საკითხი არც ჩვენს „პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკაშია“ (1954 წ.) სათანადოდ განხილული, მაგრამ შემდგომმა სპეციალურმა კვლევამ საკითხის არსი უფრო ხალოდ გამოავლინა და დანართთან სასვენი ნიშნების ხმარების საკითხი გარკვეული წესების სახით ჩამოყალიბდა (ვრცლად იხილეთ ჩვენი „მიგიგვებელი კავშირი — „ესე იგი“, „ანუ“ — ქართულში და მისი სწავლება“, „ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების საკითხები სკოლაში“, კრებ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Რ. Ნ. ᲐᲡᲐᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲝᲡᲣᲠᲘ საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის, ხანგრძლივი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით მწერალი რევაზ ნიკოლოზის ძე ასაევი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი,

1983 წლის 16 ივნისი.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲚᲔᲠᲐᲚᲘ

ᲠᲔᲕᲐᲖ ᲐᲡᲐᲔᲕᲘ 60 ᲬᲚᲘᲡᲐᲐ

ᲝᲡᲣᲠᲘ საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი რევაზ ასაევი დაიბადა 1923 წელს. სწავლობდა ცხინვალის შვიდწლიან სკოლაში, შემდეგ ამავე ქალაქის პედაგოგიურ ტექნიკუმში, დაამთავრა სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მონაწილეობდა დიდ სამამულო ომში. ომიდან დაბრუნების შემდეგ იგი მუშაობს გაზეთ „სოვეთონ ირისტონის“ განყოფილების გამგედ, საქინფორმის კორესპონდენტად სამხრეთ ოსეთში, ჟურნალ „ფიდიუგაის“ პასუხისმგებელ მდივნად, სამხრეთ ოსეთის მწერალთა განყოფილების ხელმძღვანელად... რ. ასაევი ამჟამად მშვიდობის დაცვის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარეა.

ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდობიდანვე ჩაება დიდ ლიტერატურულ ცხოვრებაში. ბუნებრივია, რომ მისი პოეზიის ძირითადი თემა ხდება სამშობლო, სათაყვანებელი მამული. ლექსში „ოსეთი“ პოეტი იხსენებს თავისი მშობელი ხალხის ძმიმე წარსულს, მის ბრძოლას თავისუფლებისათვის და საბჭოეთის მზის ქვეშ აყვავებულ მხარეს მიმართავს:

ო, საყვარელო ჩემო ოსეთო,
ეს რა დიადი ნათელი გადგას,
ნართებისა და კოსტას მშობელო,
გაიფურჩქნე და იხარე მარად.

(თარგმანი ვ. გორგანელისა).

სამშობლოსადმი პოეტის გულწრფელი დამოკიდებულებაა გამოხატული ლექსებში: „ერწოს ტბა“, „შემოდგომა ოსური“, „მაგრამ, ერმონი“ და სხვ.

რ. ასაევის პოეზიაში ფართოდ არის ასახული დიდი სამამულო ომის სურათები. „ქარიშხალში“, „ყუბანში“, „გამარჯვებულში“ და სხვა ლექსებში ჩანს საბჭოთა ადამიანის გაუტეხელი ხასიათი, ოპტიმიზმი, პატრიოტიზმი.

ომგამოვლილმა პოეტმა კარგად იცის მშვიდობის ფასი, ამიტომ იგი თავისი ლექსით იბრძვის ომის გაჩაღებელთა წინააღმდეგ, უმღერის ჩვენი სახელმწიფოს ბრძნულ საგარეო პოლიტიკას. ეს კარგად არის გამოხატული მის ლექსებში, განსაკუთრებით კი საზღვარგარეთული ცეცლის ნაწარმოებებში „ევროპის გარშემო“, „შეხვედრა პარიზში“, „ლენინური პრავდა“ და სხვ.

რ. ასაევის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მთარგმნელობითს საქმიანობას. მისი ნიჭის მეოხებით ოსი მკითხველი მშობლიურ ენაზე ეცნობა მომძე ხალხთა ბევრი წარჩინებულ ლექსს, პოემას, მოთხრობას.

რ. ასაევის შემოქმედებაში აისახა ცხოვრების ყველა მხარე, მაგრამ მისი ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ძირითად ხაზს ხალხთა მეგობრობის თემა, კერძოდ, ქართველთა და ოსთა ძმობის იდეა წარმოადგენს. რ. ასაევისათვის ქართული ენა მეორე მშობლიური ენაა. იგი სრულიად საქართველოს მეხოტბეა, რაც ნათლად არის გამოვლენილი ლექსში „საქართველოს ცის ქვეშ ვმღერი“.

საქართველოს ცის ქვეშ ვმღერი
ოსი ხალხის შვილი,
და მე მიყვარს მისი კალთა —
მადლიანი, თბილი.
ვუმღერ ახალ საქართველოს,
შთაგონების წყაროს,
მისი ძუძუ მიწოვია
და მის მკერდში ვხარობ.

(თარგმანი ხ. ბერულავასი).

ლექსში „ვარძია“ ოსი პოეტი აცოცხლებს სქართველოს ისტორიის ოქროს ხანას — თამარის ეპოქას, უმღერის ქართველი ქალის უბადლო ნიჭიერებას, პატრიოტიზმს, სიმშვენიერესა და სინაზეს.

ვარძიის უნიკალური ნაგებობით, მისი შემოგარენით, თამარის წყაროთი მოხიბლული პოეტი თანამედროვეთ ურჩევს:

ქალაშვილებო, აიღეთ პეშვით
ეს წყაროს წყალი, პირზე
ისხურეთ,
შემოგდებთ თამარის ეშხი,
სხვა სილამაზეს ნუ მოისურვებთ.

(თარგმანი ლ. სულაბერიძისა).

არაერთი გულთბილი სტრიქონი უძღვნა რ. ასაევმა ომისა და შრომის ქართველ გმირებს.

რ. ასაევმა ჩვენი ხალხის საბრძოლო საქმენი დახატა პოემაში „სისხლის წვეთი“. პოეტი ჯერ ეხება რუსი ხალხის შეუდარებელ ღვაწლს ფაშიზმის წინააღმდეგ ომში და შემდეგ წერს:

რომ ფრიალებდეს ამაყად
სამშობლოს წმინდა დროშები,
მიპყენენ უფროს ძმის მაგალითს
ქართველები და ოსები.

(თარგმანი თ. ჯანგულაშვილისა).

ᲙᲘᲗᲮᲘᲗ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲛᲘᲗ

მე შენ გიცავდი, სამშობლო ჩემო,
თვით შენ მაძლევდი ღონეს და ძალას,
და ფიცსელ ომში მტრისადმი ზიზღით
მე ხიშტთან ერთად ვაწრთობდი კალამს.

ბრძოლებმა მაწრთეს უშიშარ გმირად,
ვით ცეცხლი აწრთობს ფოლადს დ. რკინას,
სიკვდილს ვხვდებოდი პირისპირ ომში,
ქედს არ ვიხრიდი მის რისხვის წინა.

მე შენი ტრფობა მიმდევდა თანა,
წინ რომ ვიდოდი ალისფერ ალმით,
შენს ვალს ვიხდიდი, სამშობლო ჩემო,
ხიშტით და კალმით,
ხიშტით და კალმით!

თარგმანი ი. აბაშიძისა.

ᲫᲛᲝᲑᲐᲐ ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲚᲘ

ზოგნი ეძებენ განძეულს,
ზოგნი — ოქროებს ხვეტავენ,
ძმას, გულის გულით არჩეულს,
რაღა სჯობია ნეტავი!

ძმა ძმისთვის თავს გაიმეტებს,
მტრისთვის ხმალია შიშველი.
თუ დარდობ, დაგიამედებს
და გასაჭირში გიშველის.

კაცი იყავი კაცური,
ძმას არ განუდგე არასდროს,
როგორც კაცობის დასტური,
ძმის გაღიმება გაგათბობს.

ძმობაა ცისკრის ნათელი,
ჩაუტეხელი ხიდია.
ოსი ძმა არის ქართველის
ძმობის ნათელი გვინთია.

ვიმღეროთ, ძმებო — მგოსნებო,
სიმღერა მეგობრობისა,
ერთი გვაქვს ჩვენ საოცნებო
მაღალი ცეცხლია ძმობისა.

თარგმანი გ. სალუქვაძისა.

ᲨᲔᲣᲛᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲕᲚᲘᲐᲜ

ᲨᲣᲐ საუკუნეების დიდებული არქიტექტურული ანსამბლია უფლისციხე... აქ ჩვენს დღეებამდე შემორჩენილა ქალაქის კედლის ფრაგმენტები, ხასახლის ნაგებობანი, საცხოვრებელი გამოქვაბულები, ფრესკებით მოხატული ეკლესია. უფლისციხისა და მხარის სხვა ისტორიული ძეგლების შეფობა იკისრეს გორის პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის წევრებმა. ზაფხულის დადგომისთანავე ისინი აწყობენ ორდღიან ლაშქრობებს მშობლიურ მხარეში, რომლის დროსაც უვლიან ძველ ძეგლებს, ასუფთავებენ მათ გარშემო ტერიტორიას, თვალს ადევნებენ ანსამბლთა დაცვას.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: ქვახვრელის საშუალო სკოლის მეათეკლასელი თამარ მირუაშვილი გორის რაიონის კულტურის ძეგლთა დაცვის ხაზოგადოების აქტივისტია; მოსწავლეები უფლისციხეში.

Ბ. ᲓᲕᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და **პ. ᲘᲣᲮᲐᲜᲝᲕᲘᲡ** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ: ᲕᲘᲜ ᲐᲒᲔᲑᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ?

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ Უ�პᲐᲡᲣᲮᲔᲑᲡ ᲪᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲘ Გ. ᲨᲝᲗᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ გამოგზავნილ პასუხში ნათქვამია, რომ გაზეთ „კომუნისტის“ 8 აპრილის ნომერში დაბეჭდილ წერილში „როცა წესრიგი უგულებელყოფილია“, მოყვანილი ფაქტი სწორია.

„საქკოომშენის“ ტრესტის წნორის მოძრავ-მექანიზებული კოლონის ავტოამწის მემანქანემ ა. ნ. ლობაჩოვმა უხუშად დაარღვია შრომის დისციპლინა — უნებართვოდ დაayენა ღამით საცხოვრებელ სახლთან ავტოამწე, ხოლო დილით მთვრალმა მოახდინა ავტოსაგზაო შემთხვევა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი.

აღნიშნული ფაქტი წნორის მოძრავ-მექანიზებული კოლონის ხელმძღვანელობამ არ შეატყობინა „საქკოომშენს“ და დაკმაყოფილდნენ იმით, რომ იმსჯელეს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე და დაგმეს ა. ლობაჩოვის საქციელი.

აღნიშნულ ფაქტზე ტრესტის ხელმძღვანელობამ იმსჯელა 9 აპრილს და წნორის მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში ავტოსატრანსპორტო საშუალებებისადმი უკონტროლობისათვის, აგრეთვე მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის შესახებ სათანადო ინფორმაციის მოუწოდებლობისათვის წნორის მოძრავ-მექანიზებული კოლონის უფროსს გ. ბაკაშვილს გამოეცხადა საყვედური, ხოლო მექანიკოსი ვ. ტორიოშვილი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

ᲔᲡ ᲜᲐᲜᲐᲖᲠᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲪ ᲛᲝᲕᲘᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის შვიდი მატჩი. ამ დღეს თბილისს „დინამომ“ უმასპინძლა ერევნის „არარატს“. ამჯერად თბილისელებმა მართლაც გულიანად ითამაშეს, მათს მეცადინეობას, ბოლოს და ბოლოს შედეგიც მოჰყვა. თავდასხმელ�მატჩის 52-ე წუთზე გუდაევმა საჯიფათოდ ჩაჰკიდა ბურთი ერევნელთა საჯარიმო მოედანში და სვანაძემ თავური დაარტყა და ანგარიში გახსნა — 1:0. ამის შემდეგ იმარჯვა ცავამ, შეიტრი მეტოქეთა კარის მიმართულებით ძლიერი დარტყმით 65-ე წუთზე ანგარიში 2:0-მდე გაზარდა.

ერევნელთა კართან კიდევ რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. და ბოლოს, 81-ე წუთზე დიდებულად ითამაშა ჟორჟიკაშვილმა: „დინამო“ კვლავ დაჯილდოვდა — 3:0.

ასეთი დამაჯერებელი და დიდი ანგარიშით გამარჯვება იზეიმა თბილისს „დინამომ“, რომელმაც ამჯერად ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კუცია, დანელია, ჩივაძე, კერესელიძე, ყიბა, ჯოხაძე, სვანაძე, სულაქველიძე, გუდაევი, ცავა (გურული), ჟორჟიკაშვილი (ფოფიძე).

მატჩების მთელ სერიაში თბილისელთა წარუმატებელი გამოსვლების შემდეგ ეს გამარჯვება მართლაც ნანატრი გახლდათ. ამ გარემოებამ და რაც მთავარია, ყოველ რგოლში დინამოელთა ლამამ მოქმედებამ გვაფიქრებინა, რომ ისინი შელახული ავტორიტეტის რეაბილიტაციისათვის ძალებს არ დაზოგავენ, მეტი თავდადებითა და შეუპოვრობით იმოქმედებენ.

გაგვახარა ქუთაისის „ტორპედომაც“, რომელმაც გასვლითი მატჩი ბაქოში ფრედ — 0:0 დაამთავრა და მეტად საჭირო ქულა შეიძინა.

ამ ტურის დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ნისტრუ“-„ყაზგორისი“ — 1:1, „ჩერნომორეცი“-მინსკის „დინამო“ — 3:1, „სპარტაკი“-მოსკოვის „ტორპედო“ — 1:1, „ფახთაქორი“-კიევის „დინამო“ — 3:0, „ზენიტი“-„მეტალისტი“ — 2:0.

Ჯ. ᲔᲜᲣᲥᲘᲫᲔ.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲢᲣᲜᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲐ. კანადაში მიმდინარეობს მსოფლიო ჩემპიონატი. შოძრაგ სამიზნეებზე სროლაში საბჭოთა სპორტსმენებმა ორი ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. „გაქცევა ტახზე“ პნევმატიკური შაშხანიდან სროლაში პირველობდა საბჭოთა ნაკრები — 1121 ქულა, მეორე იყო საფრანგეთის ნაკრები — 1104 ქულა, მესამე — აშშ-ის ნაკრები — 1094 ქულა. ამ სახეობის პირად ჩათვლაში გაიმარჯვა ფრანგმა ჟ. ლ. ტრიკორეგი — 386 ქულა. მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, უფელი ი. სოკოლოვი გამარჯვებულს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა. იუნიორთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკელმა გ. ავრამენკომ — 380 ქულა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეცხრამეტე ტურში „გურიამ“ ლაჩხუთში დაამარცხა იაროსლავლის „შინიკი“ — 4:1.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. საბჭოთა სპორტსმენებმა — ლენინგრადელებმა ა. კრასნოვმა, ვ. მანაკოვმა, ა. ყულიკოვმა, ო. კლენკოვმა, ა. პეტროვმა და ლ. არხიპოვმა გაიმარჯვეს შვეიცის გზებზე გამართულ ტრადიციული მრავალდღიანი საგზატაკეცილო რბოლაში გუნდურ ჩათვლაში. სარბოლო მანძილი 1.260 კილომეტრი იყო.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.45 — კონცერტი. 10.15 — ბურატინოს გამოფენა. 10.40 — დოკუმენტური ტელეფილმი. 10.50 — „სპორტლოტო“. 11.00 — თქვენთვის, მშობლებო! 11.30 — მეტი უკეთესი საქონელი. 12.00 — ა. ბოროდინი. № 2 კვარტეტი. 12.30 — კითხვის წრე. 13.15 — დღეს გამომგონებლის და რაციონალიზატორის დღეა. 13.45 — კონცერტი. 14.10 — დოკუმენტური ტელეფილმი. 15.00 — ხალხური შემოქმედების „ცისარტყელას“ V საერთაშორისო სატელევიზიო პროგრამების საერთაშორისო ფესტივალი. 15.30 — ახალი ამბები. 15.45 — მხატვრული ტელეფილმი „ნამის ცვარი განთიადისას“. 16.55 — თ. გლაჯკოვი. შემოქმედება. 17.40 — მულტფილმები. 18.05 — გეოგრაფიული პოლიტიკური მიმომხილველი ვ. პ. ბეკეტოვი. 18.35 — ცხოველთა სამყაროში. 19.35 — მხატვრული ტელეფილმი „შერლოკ ჰოლმსი და ედემ ვატსონის თავგადასავალი“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — ახალგაზრდობა მშვიდობის მარშზე. 00.15 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — „თუ გინდა ჯანმრთელი იყო“. 9.30 — გამომგონებლისა და რაციონალიზატორის დღის გამო. 10.15 — „დილის ფოსტა“. 10.45 — ძლიერნი, გაბედულნი, სხარტნი. 11.15 — ჩვენი მეგობრების პრემიერები. ჩეხოსლოვაკიის მხატვრული კოლექტივების გამოსვლა. 11.45 — დოკუმენტური ფილმი „რევოლუციის პირველი ბატალიონი“. 12.00 — სომხური ტელესტუდიის პროგრამა. 13.30 — გამარჯვებულნი. ფრონტულ მეგობართა კლუბი. 15.00 — მულტფილმები. 15.40 — „წელიწადის დრონი“. „ვაზაფხული“. მუსიკალური საესტრადო გადაცემა. 16.45 — საერთაშორისო მიმოხილვა. 17.00 — მუსიკალური კოისკი. 17.30 — კინომაყურებლის თანამგზავრი. 18.15 — კონცერტი. 19.00 — ფეხბურთი. მოსკოვის „დინამო“ — ცსკა. 20.45 — დოკუმენტური ფილმი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — ჯანმრთელობა. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — მხატვრული ფილმი „ქალაქის ფარი“. 00.05 — VIII სპარტაკიადა. კალათბურთი. ვაჟები.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „გადაღების დაწყების წინ“. 10.00 — „მოამბე“. 10.30 —შვილსწავლოთ ქართული ენა. 11.00 — მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგების გამო. სატელევიზიო კინოდარბაზი „ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „დაშნა“. მე-3 სერია. 12.10 — მულტიპლიკაციური ფილმი — „ტყის სასადილო“. 12.25 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 12.30 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე“. 13.15 — „დღეს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა დღეა“ (მ.) 13.45 —„პოეზიის ხუთი წუთი“. 13.50—გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისათვის. „მეგობრობის ეკრანი“ (ბელორუსის ტელევიზიის პროგრამა). 15.35—„ხალხური შემოქმედება“. „ლურჯაგ, შენც გრძნობა გქონია...“ 16.00 — საგზაო მუსიკის კონცერტი (სტუდიაშია მე-2 სამუსიკო სასწავლებლის გუნდი). 16.35 — მოსწავლეთათვის. „ათი ათასად ზრდილობა“. 17.25 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი. 18.00 — მეერის სერგო ონნიაშვილი. 18.15 — სატელევიზიო ჟურნალი „ქალებისათვის „იავნანა“. 19.30 — „პოეზიის ხუთი წუთი“. 19.35 — ახალგაზრდობისათვის — „უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ“. სტუდიაშია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი თეიმურაზ ლოლაძე. 20.00—„მოამბე“. 20.30 — „ცეროდენას ეკრანი“. 20.55 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“. 22.00 —„ვრემია“. 22.35 — „პოეზიის ხუთი წუთი“, 22.40 — „ხვალ—ტელეეკრანზე“. 22.45 — მხატვრული პროგრამა „ფილმი, მსახიობი, როლი“. გაგრძელება.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე; მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ასს წლის წინათ; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ღვთაებრივი კომედია (პრემიერა). კინომსახიობთა თეატრი — ვეფხვი.

ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲘ ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲐᲛᲮ. Რ. Ნ. ᲐᲡᲐᲔᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘᲒᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲒᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲙᲝᲛᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ ᲘᲜᲓᲔᲚᲘ 66434 უე 06381 ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲠᲘᲗᲘᲗᲚᲘ ᲓᲠᲝᲨᲘᲡ ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲡᲐᲜᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14. ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲝᲣᲡᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲬᲡᲚᲘᲗ. ᲡᲐᲒᲐᲖᲗᲝᲗᲝ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, ᲮᲝᲜᲐᲠᲐᲣᲚᲘᲡ 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19